

თბილისის
ვანო
სარაჯიშვილის
სახელობის
სახელმწიფო
კონსერვატორიის
ტრადიციული
მრავალხმიანობის
კვლევის
საერთაშორისო
ცენტრის
ბიულეტენი

№29

ახალი ამბები

საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

ახალი გამოჩვენებები

საერთაშორისო საიუბილეო სიმპოზიუმი ონლაინ ფორმატში

ქართველი ეთნომუსიკოლოგები

ნინო (ნანული) მაისურაძე

„ჩვენ გვაერთიანებს ქართული ტრადიციული მუსიკა – ეს საგანძური ყველასია“

ანზორ ერქომაიშვილის 80 წლის იუბილე

ერთი ახალი გამოცემის შესახებ

აჭარული ხალხური სიმღერების თვითმასწავლებელი

ქართული სიმღერის უცხოელი შემსრულებლები

სიმპოზიუმის დასკვნითი კონცერტი „გაუმარჯოს“ უცხოური გუნდების მონაწილეობით

ერთი ახალი ანსამბლი

„გორდა“

უცხოური მრავალხმიანობა

ჩახესანგ ნაგას ტომის პოლიფონიური სიმღერა ინდოეთში

ერთი ეთნოგრაფიული ანსამბლი

ანსამბლი „შგარიდა“ დმანისიდან

ერთი ხალხური საკრავი

საკრავი საზი და მასზე შემსრულებელი ერთადერთი აშული ქალი საქართველოში

ერთი ტრადიციული რიტუალის შესახებ ლომისობა

მთიულური „ლომისური“

თბილისი, დეკემბერი, 2020

ახალი ამბები

საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

(ივლისი-დეკემბერი, 2020)

ფესტივალები, კონფერენციები, კონკურსები

23.07.2020-26.07.2020 – თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ღია ცის ქვეშ ფესტივალი „არტ გენი“ გაიმართა.

25.08.2020 – ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „რუსთავი“ ონლაინ ფესტივალში „Vox Virtual Festival“ მიიღო მონაწილეობა.

23.09.2020-26.09.2020 – საერთაშორისო სიმპოზიუმში „აბრეშუმის გზის ქვეყნების ფოლკლორი“ ონლაინ ფორმატში ჩატარდა.

3.10.2020 – ქალთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ნანინა“ მონაწილეობა მიიღო ლატვიაში გამართულ ონლაინ ფესტივალში „სიმღერის ყვავილები“.

20.10.2020-23.10.2020 – ტრადიციული მრავალხმიანობის მეათე საერთაშორისო საიუბილეო სიმპოზიუმი ონლაინ ფორმატში ჩატარდა.

29.10.2020 – სამეცნიერო კონფერენცია „ტრადიციული მუსიკა და განათლება“ ონლაინ ფორმატში ჩატარდა.

5.11.2020-6.11.2020 – გიორგი გარაყანიძის სახელობის ბათუმის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის 15 წლის იუბილე ონლაინ ფორმატში აღინიშნა.

ლექციები, შეხვედრები, მასტერკლასები, პრეზენტაციები და სხვ.

4.07.2020-26.12.2020 – ეთნომუსიკოლოგი ნინო ნანეიშვილი ყოველ შაბათ-კვირას ZOOM პლატფორმის საშუალებით ატარებდა ქართული ტრადიციული მუსიკის მასტერკლასებს უცხოელი შემსრულებლებისათვის.

14.07.2020 – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დისტანციურად გაიმართა დოქტორანტ ნინო ნანეიშვილის დისერტაციის დაცვა თემაზე „ქრისტიანული საღვთისმსახურო მუსიკა თბილისში“.

15.07.2020-10.12.2020 – გალობის უნივერსიტეტის ორგანიზებითა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით წეროვანის მე-3 საჯარო სკოლაში განხორციელდა პროექტი სახელწოდებით „ჩვენ გვაერთიანებს ქართული ტრადიციული მუსიკა – ეს საგანძური ყველასია“.

9.08.2020 – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო აკეთში ცნობილი მომღერლების, ხუბუნაიშვილებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართა.

6.09.2020 – წმ. ძმები კარბელაშვილების ხსენების დღეს, სამთავისის საკათედრო ტაძარში სადღესასწაულო წირვა ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მგალობელთა გუნდებმა სხვადასხვა ეპარქიიდან.

9.10.2020 – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ეზოში ხელოვნების სასახლის ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმის საკრავების კატალოგის პრეზენტაცია გაიმართა.

29.10.2020 – ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას, კავკასიის უნივერსიტეტს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებში დაიგეგმა კონსერვატორიაში არსებული უნიკალური აუდიო და ვიდეოარქივის მასალების, ასევე, ფოლკლორული საექსპედიციო მასალების ციფრულ ფორმატში გადაყვანა, დამუშავება და გამოცემა ზემოაღნიშნული უნივერსიტეტების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით.

19.12.2020 – თელავის ქართული ტრადიციული მუსიკის სკოლაში შედგა ანსამბლ „პატარა კახის“ აუდიოალბომის ონლაინ პრეზენტაცია.

პოტსდამის უნივერსიტეტის პროფესორის, ფრანკ შერბაუმისა და ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, ეთნომუსიკოლოგ დავით

შულღიაშვილის ერთობლივი საქმიანობის შედეგად, რომელიც სამწლიანი პროექტის (2019-2021) – ტრადიციული ქართული ფოკალური მუსიკის კომპიუტერული ანალიზი – ფარგლებში განხორციელდა, ინტერნეტ სივრცეში განთავსდა არტემ ერქომიაშვილის 1966 წლის ჩანაწერებთან დაკავშირებული 6 ნაშრომი, რომელთა ნახვა და ორიგინალური ჩანაწერების მოსმენა შესაძლებელია ბმულზე: <https://www.uni-potsdam.de/en/soundscapelab/computational-ethnomusicology/the-heritage-of-the-old-masters>

ექსპედიციები

7.07.2020–13.07.2020 – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ეთნომუსიკოლოგი გიორგი კრავეიშვილი ექსპედიციაში იმყოფებოდა დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში მცხოვრებ ჰერებთან.

9.08.2020–14.08.2020 – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ეთნომუსიკოლოგი გიორგი კრავეიშვილი ექსპედიციაში იმყოფებოდა ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიაში მცხოვრებ ლაზებთან და მეგრელებთან.

კონცერტები, საღამოები, გამოფენები, იუბილეები...

10.07.2020 – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დარბაზში ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლმა „ბასიანი“ მეკო ჩიტიაშვილის დასახმარებლად საქველმოქმედო სოლო კონცერტი გამართა.

12.07.2020 – ანჩისხატის ტაძრის ეზოში ანჩისხატის ტაძრის მგალობელთა გუნდის ინიციატივით წირვის შემდეგ სიმღერა-საგალობლების კონცერტი გაიმართა.

14.07.2020 – ანსამბლმა „სამება“ რიგით მეორე ონლაინ სოლო კონცერტი გამართა.

14.07.2020 – „სოფელ ლახუშდის მეგობრებმა“ საქველმოქმედო ონლაინ კონცერტი გამართეს ლახუშდში სიმღერის სახლის მშენებლობის დასახმარებლად.

16.07.2020 – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ილიაუნის სტუდენტური გუნდის კონცერტი გაიმართა.

9.08.2020 – ანსამბლ „სამებას“ რიგით მესამე ონლაინ სოლო კონცერტი გაიმართა.

10.08.2020 – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დრამატული თეატრის თაღებში ანზორ ერქომიაშვილის 80 წლის საიუბილეო საღამო აღინიშნა.

18.09.2020 – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ეზოში ზაზა ალადაშვილის დასახმარებლად საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა გაიმართა.

28.09.2020 – საქართველოს ხელოვნების სასახლეში ჯემალ ჭკუასელის 85 წლის იუბილე აღინიშნა. ამ თარიღთან დაკავშირებით ხელოვნების სასახლის უკვდავთა თაღში ჯემალ ჭკუასელის ხელის ანაბეჭდები გაიხსნა.

4.10.2020 – ეთნოგრაფიულ მუზეუმში ღია ცის ქვეშ ედიშერ და გიგი გარაყანიძეების სახელობის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულმა სტუდიამ „ამერ-იმერი“ ფოლკლორული წარმოდგენა „აჭარული ჰანგები“ გამართა.

7.10.2020 – ფესტივალის „აღდგომიდან ამაღლებამდე“ ფარგლებში ანზორ ერქომიაშვილის საიუბილეო საღამო „ნაცნობი-უცნობი ანზორ ერქომიაშვილი“ გაიმართა.

12.10.2020-21.12.2020 – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში, „ხალხური საღამოების“ ფარგლებში კონცერტები გაიმართეს ანსამბლებმა:

12.10.2020 – ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლმა „ბასიანი“;

19.10.2020 – ანსამბლმა „დიდგორი“;

26.10.2020 – სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა „ერისიონი“;

2.11.2020 – ანსამბლმა „ადილეი“;

9.11.2020 – ტრიო „იარალიმ“ და კვარტეტმა „რანინა“.

19.11.2020 – ანსამბლმა „შილდა“, ალექო ხიზანიშვილმა და ხვიჩა ხვთისიაშვილმა;

23.11.2020 – ანსამბლმა „თბილისი“;

26.11.2020 – გერსამიების ოჯახმა და ანსამბლმა „ნანინა“;

30.11.2020 – ანსამბლმა „გორდა“;

3.12.2020 – ტრიოებმა „შალვა ჩემო“ და „ლაზარე“, ანსამბლებმა „შემოქმედი“ და „რეხეული“,

7.12.2020 – ანსამბლმა „სათანაო“ და კვარტეტმა „მელორამა“,

10.12.2020 – ანსამბლმა „ჩვენებურები“,

14.12.2020 – ანსამბლებმა „იალონი“ და „სახიობა“,

17.12.2020 – ანსამბლმა „ანჩისხატი“,

21.12.2020 – ანსამბლებმა „ბედინერა“ და „ჩხოროწყუ“.

14.10.2020 – ანსამბლ „სამებას“ რიგით მეოთხე ონლაინ სოლო კონცერტი გაიმართა.

20.10.2020 – გაიმართა ტრადიციული მრვალ-ხმიანობის მეათე საერთაშორისო საიუბილეო სიმპოზიუმის საზეიმო გახსნის კონცერტი ონლაინ ფორმატში, შემდეგი თბილისური ანსამბლების მონაწილეობით: „ანჩისხატი“, „ადილეი“, „ბასიანი“, „დიდგორი“, „მთიები“, „შავნაბადა“, „სახიობა“, „იალონი“, „კიმილია“.

24.10.2020 – ტრადიციული მრვალხმიანობის მეათე საერთაშორისო საიუბილეო სიმპოზიუმის საზეიმო დახურვის კონცერტი სახელწოდებით „გაუმარჯოს“, ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებელი უცხოური ანსამბლების მონაწილეობით, ონლაინ ფორმატში გაიმართა.

15.11.2020 – ხელოვნების სასახლის ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმში აქცია „ღამე მუზეუმის“ ფარგლებში ანსამბლ „მჭელის“ ონლაინ სოლო კონცერტი ჩატარდა.

23.11.2020 – ფესტივალ „შემოდგომის თბილისის“ ფარგლებში ანსამბლმა „შავნაბადა“ საიუბილეო სოლო ონლაინ-კონცერტი ჩატარა, რომელიც საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის ეთერში გავიდა.

27.12.2020 – კამპანიის „საზოგადოება ხელოვნებისთვის“ ფარგლებში „ლენო რექორდსში“ გაიმართა საქველმოქმედო მარათონი ხელოვნათა დასახმარებლად, რომელშიც თბილისურმა ფოლკლორულმა ანსამბლებმაც მიიღეს მონაწილეობა.

გამოცემები

ფონდმა „ქართული გალობა“ და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიამ გამოსცეს

„აჭარული ხალხური სიმღერები: სანოტო კრებული სასწავლო აუდიოდისკით“
(შემდგენელი ნინო რაზმაძე)




ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტმა გამოსცა გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის XV საერთაშორისო ფესტივალის სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებების კრებული

„ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის საკითხები“



შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა გამოსცა გიორგი კრავეიშვილის წიგნი

„საქართველოს მოწყვეტილი კუთხეების და XVII–XIX საუკუნეებში გადასახლებულ ქართველთა ხალხური მუსიკის შესწავლის პრობლემები“




ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა „ერისიონი“ გამოსცა ჯემალ ჭკუასელის საიუბილეო ალბომი

„ჯემალ ჭკუასელი 85“




გამოიცა იმერული ხალხური სიმღერების კრებული და-ძმა აბესაძეების რეპერტუარიდან

„რაც გვიმღერია...“
(შემდგენელი გიგა აბესაძე)



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიისა და ფონდ „ქართული გალობის“ მხარდაჭერით გამოიცა წიგნი

„ჩვენ მშვიდობა“
(შემდგენელი დავით შულღიაშვილი)



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა
გამოსცა ელენე გოგიაშვილის წიგნი

**„ფოლკლორისტიკის თეორიები
და მეთოდები“**




ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო კონსერვატორიამ და ფონდმა
„ქართული გალობა“ გამოსცა

**კუკური ჭოხონელიძის სამეცნიერო შრომების
კრებული**




გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის
უნივერსიტეტმა და ფონდმა
„ქართული გალობა“ გამოსცა

**„მუსიკალური კარნახების კრებული“
ქართული ტრადიციული მუსიკის ნიმუშების
საფუძველზე
(შემდგენელი თამარ თოლორდავა)**



საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო
ცენტრმა გამოსცა:

**ქართული გალობის ანთოლოგიის
XII–XVII ტომები**



2007 წლის იმერეთის ფოლკლორული
ექსპედიციის მასალები
(ექსპ. ხელმძღვანელი ნატო ზუმბაძე)



ანსამბლმა „პატარა კახი“
გამოსცა აუდიოალბომი
„ქართული საეკლესიო გალობა“



ანსამბლმა „იალონი“ გამოსცა აუდიოდისკი

„ქართული ტრადიციული მუსიკა.
იავნანები და ნანები“



საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა
და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა
გამოსცა წიგნი:

„სვანური ხალხური შემოქმედება“ I ნაწილი
(შემდგენლები დავით ცინცაძე და
ვახტანგ ფილფანი)
სასიმღერო ტექსტები, აუდიო-ვიდეო
ჩანაწერები, ფერხულები და ცეკვები



მოამზადა სოფიკო კოტრიკაძემ

ახალი გამოწვევები

საერთაშორისო საიუბილეო

სიმპოზიუმი

ონლაინ ფორმატში

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის სერთაშორისო ცენტრმა 2020 წლის 20-24 ოქტომბერს ჩაატარა ტრადიციული მრავალხმიანობის მე-10 საიუბილეო საერთაშორისო სიმპოზიუმი. სიმპოზიუმი ჩატარდა საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის პატრონატიითა და განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის პარტნიორები იყვნენ ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი.

COVID-19-ის გლობალური პანდემიის გამო სიმპოზიუმის მომზადების პროცესი უაღრესად რთული აღმოჩნდა. გადაწყვეტილება ფორუმის ფორმატის შესახებ რამდენიმეჯერ შეიცვალა. უცხოეთთან მიმოსვლის აღდგენის შემდეგ, გადაწყდა მისი შერეული ფორმატით ჩატარება – ადგილობრივი და იმ უცხოელი მეცნიერებისთვის, ვინც ჩამოსვლას გადაწყვეტდა, სიმპოზიუმი ჩატარდებოდა ჩვეულებრივ რეჟიმში, მთავრობის რეგულაციების სრული დაცვით, ხოლო დანარჩენები ჩართვებოდნენ დისტანციურად.

რაც შეეხება ტრადიციულ საკონცერტო ნაწილს, გახსნის კონცერტი თბილისური ანსამბლების მონაწილეობით და ქართული მრავალხმიანობის შემსრულებელი უცხოური ანსამბლების ვიდეოკონცერტის დემონსტრირება, ასევე, ქართული და პორტუგალიური მრავალხმიანობისადმი მიძღვნილი ფილმების ჩვენება ღია სივრცეში – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ბაღში გადაწყდა. მოვიწვიეთ საპატიო სტუმრებიც. დაიგეგმა კულტურული

დღეც უკვე ჩამოსული 6 უცხოელი მონაწილისათვის ყვარელში.

პანდემიის მეორე ტალღის გაძლიერების გამო, უკანასკნელ მომენტში, 19 ოქტომბერს, გახსნის წინა დღეს, სიმპოზიუმის ორგანიზატორებმა მიიღეს გადაწყვეტილება, მონაწილეთა ჯანმრთელობის უსაფრთხოების მიზნით, სიმპოზიუმისთვის დაგეგმილი ყველა ღონისძიება გადაეტანათ დისტანციურ რეჟიმში, რასაც ორგანიზატორების დიდი ძალისხმევა დასჭირდა (მაგალითად, ინფორმაციის გავრცელება, თბილისური ანსამბლების ვიდეო კონცერტის მომზადება, რაც ითვალისწინებდა მასალის გადაღებას, ვიდეო ფაილის მონტაჟს, ტიტრების მომზადებასა და მონტაჟს და ა.შ., რამაც ჩაანაცვლა ღია ცის ქვეშ დაგეგმილი კონცერტის ვიდეოგადაღება-მონტაჟი).

სიმპოზიუმისთვის მომზადდა და გამოიცა ბუკლეტი, ითარგმნა ქართულენოვანი მონხსნებები ინგლისურად, ხოლო ინგლისურენოვანი – ქართულად, შესაბამისად, დარედაქტირდა თარგმანები. მასალები გაზიარდა ქართველი და უცხოელი მეცნიერებისათვის ონლაინ.

სიმპოზიუმის ონლაინსესიებში მონაწილეობა მიიღო 17 ქვეყნის 27-მა უცხოელმა და 13-მა ქართველმა მეცნიერმა. უნდა აღინიშნოს, რომ 4 უცხოელი მომხსენებლის თემა ეძღვნებოდა ქართულ მრავალხმიანობას. სიმპოზიუმზე წარამოდგენლი ქართულ თემაზე შექმნილი ფილმის ავტორები, აგრეთვე, უცხოელები იყვნენ.

ჩატარდა მრგვალი მაგიდა თემაზე: *ტრადიციული მუსიკა და თანამედროვე საზოგადოება*. თემის აქტუალობამ ქართველი და სხვადასხვა ქვეყნის რამდენიმე ათეული მონაწილე მოიზიდა, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული დისკუსიაში.

აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ორგანიზატორები ყოველი დღის შემდეგ უზრუნველყოფდნენ ინფორმაციის (საკონფერენციო თემები ორ ენაზე, ვიდეოპრეზენტაციები, სესიებ-

ის ონლაინ ჩანაწერები) ატვირთვას მრავალ-ხმიანობის კვლევის ცენტრის Google Drive-ზე.

სიმპოზიუმის გახსნის საღამოს, 20 ოქტომბერს გაიმართა თბილისური ანსამბლების ვიდეოკონცერტი. მონაწილეობდნენ ანსამბლები: ადილეი, ანსამბლი ანჩისხატი, ბასიანი, იალონი, კიმილია, მთიები, რუსთავი და შავნაბადა. მოკლე დროში კონცერტის ორგანიზება ტექნიკურ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, თუმცა ანსამბლების ხელმძღვანელებმა და წევრებმა ძალიან დიდი ინტერესი და პასუხისმგებლობა გამოავლინეს, შესაბამისად, ონლაინ ჩვენება წარმატებით შედგა. პირდაპირ ტრანსლაციას 90-მდე ადამიანი ესწრებოდა. ვიდეოკონცერტი განთავსდა ტმკსც-ის Youtube-პლატფორმაზე.

სიმპოზიუმი დაავგვირგვინა ვიდეოკონცერტმა, რომელშიც მონაწილეობდა ქართული მრავალხმიანობის შემსრულებელი უცხოური (აშშ, ავსტრალია, კანადა, საფრანგეთი, ფინეთი, ინგლისი და სხვ.) 19 გუნდი, სხვადასხვა დროს თბილისის სიმპოზიუმების მონაწილეები. თითოეულ ნომერს წინ უძღოდა მოლოცვა საიუბილეო სიმპოზიუმთან დაკავშირებით (იხ.ბმული:

<https://www.youtube.com/watch?v=3HDyzR9pO64>. უნდა ითქვას, რომ საგანგებო პროექტის ფარგლებში ვიდეოკონცერტი მოამზადეს და ჩვენი ცენტრის YouTube არხზე გაუშვეს ჩვენმა ავსტრალიელმა მეგობრებმა, რომლებიც 2002 წლიდან მუდმივად მონაწილეობდნენ წინა 9 სიმპოზიუმში. ავსტრალიაში ქართული მრავალხმიანობის შემსრულებელი რამდენიმე გუნდი არსებობს, რაც, პირველ რიგში, ცნობილი ქართველი ეთნომუსიკოლოგის, იოსებ ჟორდანიასა და მისი მეუღლის, ეთნომუსიკოლოგ ნინო ციციშვილის დამსახურებაა. სიმპოზიუმისადმი მიძღვნილ ონლაინ-კონცერტში მონაწილეობის სურვილი ქართული ტრადიციული სიმღერის შემსრულებელმა 40-მდე ანსამბლმა გამოთქვა მთელი მსოფლიოდან. ამდენად, პანდემიის პირობებშიც კი,

ჩვენმა სიმპოზიუმმა კიდევ ერთხელ გააერთიანა ქართული სიმღერის მოყვარული ანსამბლები მთელი მსოფლიოდან.

წლებანდელი სიმპოზიუმი კიდევ ერთი ნაბიჯი იყო ქართული ეთნომუსიკოლოგიის დასავლურ მეცნიერებასთან შემდგომი ინტეგრაციის გზაზე.

პანდემიის პირობებში მთელი სიმპოზიუმი ჩატარდა დისტანციურად და, ცხადია, მრავალფეროვანი და ფართო საკონცერტო პროგრამის შეთავაზება ვერ შეუძელით. მაგრამ, უნდა ითქვას, ჩვენი ონლაინ მონაწილეები – მომხსენებლები, მომღერლები და, რაც მთავარია, დაინტერესულ პირთა ფართო წრე იმედგაცრუებული არც ამჟამად დარჩენილა – მათ დიდი ინტერესი გამოიჩინეს ჩვენი საუკეთესო ანსამბლების ვიდეოკონცერტის მიმართ და განსაკუთრებული აღფრთოვანებით მიიღეს უცხოელი მომღერლების ვიდეოკონცერტი, რომლის ჩვენება YouTube-ზე იყო როგორც მასპინძლებისადმი შემსრულებელების სოლიდარობისა და სიყვარულის, ისე ჩვენი ავსტრალიელი მეგობრების მაღალი პროფესიონალიზმის დემონსტრირება.

და ბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ სიმპოზიუმის დისტანციურად ჩატარება ორგანიზატორებისათვის არა მარტო დიდი გამოწვევა, არამედ დიდი გამოცდილებაც იყო. როგორც აღმოჩნდა, მას სირთულეებთან (ძირითადად, ტექნიკურ) ერთად დადებითი მხარეებიც ჰქონდა: კერძოდ, აუდიტორიის შეუზღუდაობა და შესაძლებლობა პროცესში მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან აქტიურად ჩართვისა.

ტმკსც-ის გუნდი

ნინო (ნანული) მაისურაძე



ნინო (ნანული) მაისურაძე

ქართველი ეთნომუსიკოლოგი ნინო (ნანული) მაისურაძე დაიბადა 1937 წელს თბილისში. 1961წ. დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მუშაობა დაიწყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებაში. ამ განყოფილებას იმთავითვე ჰქონდა ქართული მუსიკალური ფოლკლორის შესწავლის დიდი ტრადიცია. 1940–1950წწ. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიის პარალელურად, ეთნოგრაფიის განყოფილებაში მოღვაწეობდნენ ისეთი დიდი მუსიკოლოგები, კომპოზიტორები, მუსიკალური ფოლკლორისტები, როგორებიც იყვნენ დიმიტრი არაყიშვილი, გრიგოლ ჩხიკვაძე, შალვა ასლანიშვილი, შალვა მშველიძე, ვლადიმერ ახოზაძე, თამარ მამალაძე, ბორის გულისაშვილი.

ამგვარად, ინსტიტუტში მისულ ნინო (ნანული) მაისურაძეს უკვე დახვდა ნიადაგი, რომელმაც, ალბათ, მისი სამომავლო სამეცნიერო მოღვაწეობის ბედი განსაზღვრა. ის, როგორც ეთნოლოგი, ქართული პროფესიული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებლის, გიორგი ჩიტაიას და ვერა ბარდაველიძის გვერდ-

ით ჩამოყალიბდა. გამორჩეულია ნ. მაისურაძის ურთიერთობა ვერა ბარდაველიძესთან. ის ერთ-ერთი პირველი იყო ეთნოლოგთა შორის, ვინც უშუალოდ დაჰყვებოდა მას ველზე, იწერდა მის მასალას და ქალბატონ ვერასთან ერთად იღებდა მონაწილეობას ამ მასალის კლასიფიკაციაში.

გ. ჩიტაიამ, რომელმაც საქართველოში ეთნოლოგიის, როგორც სამეცნიერო დარგის ჩამოყალიბებასთან ერთად სათავე დაუდო ამ დარგის სხვადასხვა მიმართულებას, შ. ასლანიშვილის დახმარებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში, გასული საუკუნის 60-იან წლებში მუსიკალურ ეთნოგრაფიას, მოგვიანებით კი – ეთნომუსიკოლოგიას ჩაუყარა საფუძველი. მოგვიანებით ეს მიმართულება ეთნოლოგიის სფეროში შემავალ ცალკე დისციპლინად ჩამოყალიბდა, რომელიც ითვალისწინებს ხალხური მუსიკის, როგორც ყოფის ელემენტის შესწავლას ბუნებრივ გარემოსთან მჭიდრო კავშირში, ემპირიული დაკვირვების გზით, კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდით. „ეს მიმართულება წარმოადგენს ეთნოლოგიის და მუსიკალური ფოლკლორის სინთეზს. მუსიკალური ეთნოლოგია ხალხურ მუსიკას შეისწავლის ისტორიულ-ეთნოლოგიურ ასპექტში. იგი ესთეტიკური და, იმავდროულად, ეთნიკური ფუნქციის მატარებელია, საყოფაცხოვრებო ტრადიციის წიაღშია წარმოქმნილი და როგორც კულტურულ-ყოფითი მოვლენა, ეთნოლოგიური მეცნიერების ციკლში შედის” – წერს ნ. მაისურაძე.

ვინაიდან, მკვლევარი ვერ იმუშავებს ეთნომუსიკოლოგიაში, თუ მას არ ექნება შინაგანი სმენა, მუსიკის ჰარმონიის ღრმა ცოდნა, მუსიკალური მასალის სმენითი აღქმის მაღალი უნარი, რათა შეძლოს მუსიკალური მასალის სწორად გაანალიზება, ნ. მაისურაძემ მუსიკისმცოდნეობის სპეციალური კურსი გაიარა ვ. სარაჯიშვილის თბილისის სახ. კონსერვა-

ტორიაში და როგორც მუსიკოლოგი ჩამოყალიბდა შალვა ასლანიშვილის ხელმძღვანელობით.

ნინო (ნანული) მაისურაძე 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მონაწილეობა აქვს მიღებული არა ერთ კონფერენციასა და სიმპოზიუმში. 1990 წლიდან ევროპის ეთნომუსიკოლოგთა საერთაშორისო სემინარის (ECEM) წევრია. მისი სამეცნიერო ინტერესები და კვლევა ეხება: მუსიკალური მასალის საფუძველზე ქალთველთა იდენტობასთან, ეთნიკურობასთან დაკავშირებულ საკითხებს, ცალკეული ეთნოგრაფიული ჯგუფების (კუთხეების) მუსიკალურ ჩამოყალიბებას, ფუძე-ენის წიაღში წარმოშობილი პოლიფინიის ფორმებს, ზოგადად, ქართულ მრავალხმიანობას, ქართული ხალხური მუსიკის ისტორიულ-ეთნოლოგიურ ასპექტებს, ქართულ მუსიკალურ ენას, აფხაზურ-ქართულ და ქართულ-ჩრდილოკავკასიურ მუსიკალურ ურთიერთობებს, მუსიკალურ ტერმინოლოგიას და სხვ.



ნინო მაისურაძე თუშეთის ექსპედიციაში.
სხედან: ნანული მაისურაძე, ვერა ბარდაველიძე,
დალი გიორგაძე, ჟუჟუნა ერიაშვილი, გიორგი
ჩიტაია, ლიოვა საფრაზიანი. დგანან: გიორგი
ზამთრაძე, მანანა გუგუტიშვილი (1966)

მის სამეცნიერო მოღვაწეობაში, სხვა მიღწევებთან ერთად, განსაკუთრებით უნდა გამოიყოს თეორია ქართული ფუძე-ენის შესახებ.

1983წ. ნ. მაისურაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ქართული ხალხური მუსიკის წარმოშობის, ჩამოყალიბებისა და განვითარების პრობლემები” და დოქტორის ხარისხი და პროფესორის წოდება ორი მიმართულებით (ეთნოლოგია, მუსიკისმცოდნეობა) მიენიჭა.

გამორჩეულია ნ. მაისურაძის მუსიკალური თუ ვერბალური საველე მასალები, როგორც რაოდენობით, ასევე ხარისხით, სანდოობით. აგროვებდა რა მასალას ვერა ბარდაველიძის გვერდით, ის არა მარტო იწერდა თავად ქალბატონ ვერას მთხრობელთა ნაამბობს, არამედ მის გვერდით, მისი ხელმძღვანელობით საკუთარსაც აგროვებდა.

ნინო მაისურაძე იყო პირველი, ვინც 1980-1990-იან წლებში კითხულობდა ლექციების სპეცკურსს ეთნომუსიკოლოგიაში. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის გარდა, იყო კათედრის გამგე თბილისის დამოუკიდებელ უნივერსიტეტ „გეორგიკაში“. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში მან შექმნა საპრობლემო ჯგუფი, რომელიც, ფაქტობრივად, დამოუკიდებელ განყოფილებად ფუნქციონირებდა და რომელსაც თავად უძღვებოდა.

განსაკუთრებული ხაზგასმით მინდა აღვნიშნო მისი, როგორც სამეცნიერო ხელმძღვანელის არა მარტო ღვაწლი, არამედ ნიჭი. ქალბატონი ნანული იყო მომთხოვნა, თანმიმდევრული, სკრუპულოზური და, ამავდროულად, მეგობრული. ასეთი მიდგომების შედეგად შეძენილი ცოდნითა და უნარებით დაიწერა ქ. ნაკაშიძის, ა. პეტრიაშვილის, ქ. ჭითანავას, ბ. კაგაჩევის, გ. სულაბერიძის, მ. ხაშბას ნაშრომები. ნ. მაისურაძე არა ერთი სადისერტაციო ნაშრომის ექსპერტიკაა.

ნინო (ნანული) მაისურაძე საკომპოზიტორო მოღვაწეობასაც ეწევა. მას მრავალი სიმღერა აქვს შექმნილი, რომლებმაც თავი მო-

იყარა კრებულში „ის ვინც მიყვარდა“ და რომლებიც მრავალი ქართველი მომღერლის მიერ არის სცენაზე შესრულებული.

ნინო ღამბაშიძე
ეთნოლოგი

„ჩვენ გვაერთიანებს ქართული ტრადიციული მუსიკა – ეს საგანძური ყველასია“

გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესმა სასწავლებელმა განახორციელა პროექტი „ჩვენ გვაერთიანებს ქართული ტრადიციული მუსიკა – ეს საგანძური ყველასია“. პროექტი გამარჯვებულია კულტურის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსისა – „ხელოვნება გამყოფი ხაზების გარეშე – დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში და რეგიონებში სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობა“. პროექტის მიზნებისა და შედეგების შესახებ დეტალურად მისი ხელმძღვანელი, გალობის უნივერსიტეტის დეკანი, თამარ ჩხეიძე გვესაუბრა.

ს.კ. – როგორ გაჩნდა პროექტის იდეა?

თ.ჩ. – როგორც მოგეხსენებათ, გალობის უნივერსიტეტი ლოტბარებსა და საეკლესიო გუნდის რეგენტებს ამზადებს. ეს უმაღლესი საგანმანათლებლო საფეხურია, თუმცა, იმისათვის, რომ ჩვენს უნივერსიტეტამდე მოვიდნენ, ახალგაზრდებს გარკვეული მომზადება ესაჭიროებათ. ამ მხრივ აღსანიშნავია სახელმწიფოს ძალისხმევითა და ხელშეწყობით საქართვე-

ლოს სხვადასხვა რეგიონში გახსნილი ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სალოტბარო სკოლები, სადაც ბავშვები ეუფლებიან ქართულ ტრადიციულ სიმღერასა და გალობას. ჩვენს უნივერსიტეტშიც, ბოლო წლებში, სწორედ სალოტბარო სკოლების კურსდამთავრებულები აზარებენ. სამწუხაროდ, ისეთ რეგიონებში, როგორცაა დევნილთა დასახლებები, ასეთი სალოტბარო სკოლები არ არსებობს. აქაურ ბავშვებს არ აქვთ არა მხოლოდ ფოლკლორულ მუსიკაზე წვდომის, არამედ ზოგადად, სახელოვნებო განათლების მიღების შესაძლებლობა. ჩვენი პროექტები, ერთი მხრივ, განათლების ხელმისაწვდომობას უწყობს ხელს, მეორე მხრივ კი - სტუდენტური დასაქმების კუთხითაც მნიშვნელოვანია.



წეროვანის საჯარო სკოლის მოსწავლეების შეხვედრა პედაგოგებთან

2020 წლის გაზაფხულზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებული მრავალი კონკურსიდან ერთ-ერთი ეხებოდა დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობას. ჩვენი უნივერსიტეტის მისია და საკონკურსო თემატიკა ერთმანეთს შეესაბამებოდა და ამის შემდეგ დავიწყე იმაზე ფიქრი, დევნილთა რო-

მელი დასახლება შეიძლება ყოფილიყო ჩვენ სამიზნე ჯგუფი. საბოლოოდ შევარჩიე წეროვანის დასახლების მე-3 საჯარო სკოლა.

ს.კ. – რა ვადებს მოიცავდა პროექტი?

თ.ჩ. – ეს იყო მოკლევადიანი პროექტი, რომელიც მოიცავდა 5 თვეს (15 ივლისიდან 10 დეკემბრამდე). ივლისიდან ოქტომბრის ჩათვლით ჩვენ ჩავატარეთ მოსამზადებელი სამუშაოები: განვსაზღვრეთ რეპერტუარი, შევარჩიეთ პედაგოგები: ფოლკლორის პედაგოგი, ასოცირებული პროფესორი გალობის უნივერსიტეტიდან თეონა რუხაძე და მოწვეული პედაგოგი, საეკლესიო გალობის მასწავლებელი ეკატერინე ყაზარაშვილი. ოქტომბრიდან, მას შემდეგ, რაც სასწავლო პროცესი დაიწყო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროექტი აქტიურ ფაზაში შევიდა. თუმცა, ბუნებრივია, არსებულმა პანდემიურმა რეალობამ პროექტს გარკვეულწილად ხელი შეუშალა და ფორმატი შეუცვალა. დაგეგმილი გვქონდა მასშტაბური ღონისძიებები: მაგალითად, ვგეგმავდით წეროვანის საჯარო სკოლის ბავშვებისა და კასპის სალოტბარო სკოლის მოსწავლეების ერთობლივ კონცერტს კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლში; არსებული რეალობის გათვალისწინებით, ცხადია, კონცერტი ჩვეულ ფორმატში ვერ ჩატარდებოდა, ამიტომ, მოგვიწია ონლაინ რეჟიმში ჩატარება. ასევე, გათვალისწინებული იყო პროექტის მონაწილე მოსწავლეთა გალობის უნივერსიტეტში ჩამოყვანა, სტუდენტებთან შეხვედრა, ლექციებზე დასწრება და მათთვის ღია კარის დღის მოწყობა... ეს აქტივობაც, დისტანციურად (ონლაინ პლათფორმების დახმარებით) განვახორციელეთ პროექტის ფარგლებში. სპეციალურად წეროვანის საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის მომზადდა საგალობლებისა და ხალხური სიმღერების სასწავლო აუდიოდისკო გალობის უნივერსიტეტის სტუდენტთა მონაწილეობით. ეს ის რეპერტუარია, რომელიც ამ ბავშვებმა შეისწავლეს.



რეპეტიციის პროცესში

ს.კ. – რამდენად იყო ჩართული ადგილობრივი მხარე პროექტში?

თ.ჩ. – ჩვენ წეროვანის საჯარო სკოლას თანამშრომლობა საპროექტო განაცხადის შეტანამდე შევთავაზეთ, რაზეც სიამოვნებით დავთანხმდნენ და ძალიან გაუხარდათ, პროექტმა კონკურსში რომ გაიმარჯვა. მინდა აღვნიშნო, რომ სკოლის ადმინისტრაციას საკმაოდ ორგანიზებული აქვს ურთიერთობა მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. სკოლამ მაქსიმალურად შეგვიწყო ხელი – როგორც სივრცის გამოყოფის, ისე მოსწავლეების დაინტერესებისა და მათი მობილიზების მხრივ. ჩვენთან თანამშრომლობას სკოლიდან კოორდინირებას უწევდა მუსიკის პედაგოგი, ქალბატონი ნონა ბერუაშვილი, რომელიც ძალიან დაგვეხმარა ბავშვებთან კომუნიკაციაში. აღმოჩნდა, რომ სკოლაში ძალიან ნიჭიერი და დაინტერესებული ბავშვები არიან. პროექტით გათვალისწინებული იყო სკოლაში ფოლკლორის კუთხის მოწყობა, ამ მიზნით შევიძინეთ ფანდური და ჩონგური, აუდიო სისტემა, აგრეთვე სასწავლო ლიტერატურა. გარდა ამისა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ საგალობლების შესწავლის შემდგომ, ბავშვები ტამარში გალობასაც შეძლებენ.

ს.კ. – რა იქნება ამ პროექტის შედეგი?

თ.ჩ. – განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსის მთავარი მიზანი იყო დევნილთა დასახლებებში სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობა. ჩვენი პროექტის მიზანს კი შეადგენდა ტრადიციული მუსიკის

ხელმისაწვდომობის გაზრდა ამ რეგიონში. აღსანიშნავია, რომ პროექტში ჩართული იყვნენ გალობის უნივერსიტეტის სტუდენტებიც, რომლებმაც მოსწავლეებთან ურთიერთობით გარკვეული პედაგოგიური პრაქტიკაც შეიძინეს. გარდა ამისა, სამომავლოდ, შესაძლოა, ამ სკოლის კურსდამთავრებულები ჩვენს სტუდენტებიც გახდნენ. პროექტს უკვე აქვს ფონდ „ქართული გალობის“ მხარდაჭერა; ვფიქრობთ მემორანდუმის გაფორმებასაც, რათა ეს თანამშრომლობა კვლავ გაგრძელდეს. მე ამ პროექტს არ აღვიქვამ, როგორც მხოლოდ 5-თვიან პროექტს, რომელიც ივლისში დაიწყო და დეკემბერში დასრულდა. ჩვენ უფრო გრძელვადიანი მიზნები გვაქვს. რა თქმა უნდა, ამას ხელი შეუწყო კონკურსმა, რომლისთვისაც ჩვენ ეს კონკრეტული პროექტი შევადგინეთ, თუმცა ის საქმე, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობა. მოგეხსენებათ, რომ ღირებულებების სისტემის სწორად ფორმირებისათვის და ეროვნული იდენტობის გაცნობიერებისთვის ტრადიციული მუსიკის ადრეული ასაკიდან შესწავლა უაღრესად მნიშვნელოვანია. მით უფრო იმ რეგიონის ახალგაზრდებისათვის, რომლებიც მოწყვეტილი არიან საკუთარ საცხოვრებელს და ყოფის ბუნებრივ გარემოს. ამდენად, ბავშვობიდანვე ამ კულტურისადმი განსაკუთრებული სიყვარულის გაღვივება, ვფიქრობ დიდი და ჭეშმარიტად ეროვნული საქმეა. რა თქმა უნდა, პროექტს უკვე აქვს შესაბამისი შედეგი, თუმცა, იგი, ამავდროულად, იქნება დასაწყისი ჩვენი და წეროვანის მე-3 საჯარო სკოლის შემოქმედებითი თანამშრომლობისა.

ს.კ. – წარმატებებს გისურვებთ!

ინტერვიუ ჩაიწერა *სოფიკო კოტრიკაძემ*

ანზორ ერქომაიშვილის 80 წლის იუბილე

ანზორ ერქომაიშვილის ღვაწლი კარგადაა ცნობილი ქართველი თუ უცხოელი მუსიკოსებისთვის და ქართული ფოლკლორის გულშემატკვივრებისთვის. წელს მას 80 წელი შეუსრულდა. გთავაზობთ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვას, რითაც კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს მის დამსახურებას ქართული კულტურის წინაშე და გამოვხატავთ ჩვენს სიყვარულსა და მადლიერებას ბატონი ანზორის მიმართ.



ანზორ ერქომაიშვილი

ბატონი ანზორი ერქომაიშვილების მომღერალი დინასტიიდანაა, რომელსაც, მინიმუმ, 300 წლის მუსიკალური ტრადიცია აქვს. ერქომაიშვილების გვარი გურიაში (და არა მარტო გურიაში) სიმღერა-გალობასთან ასოცირდება. ბატონი ანზორის ბაბუის ბაბუა, ივანე, იშვიათი „გამყივანის“ პატრონი ყოფილა. მისი ვაჟი – გიგო ერქომაიშვილი, თვითნასწავლი მომღერალი, ლოტბარი, გურული ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებელი გახლდათ, რომლის გუნდის 1907 წლის ჩანაწერები ერთ-ერთი უძველესია საქართველოში. გიგო ერქომაიშვილს ათი შვილი ჰყავდა, რომელთა შორის მუსიკალური ტრადიციები სამმა ვაჟმა – არტემმა, ანანიამ, ვლადიმერმა და არტემის შვილიშვილმა – ანზორმა გააგრძელეს.

ამგვარად, ანზორ ერქომაიშვილმა გენეტიკურად მიიღო ხალხური მუსიკალური კულტურის, მისი სამემსრულებლო ტრადიციების ღრმა ცოდნა. 5 წლის ასაკში უკვე მამასთან – დავითთან, ბაბუა არტემთან და დიდ ბაბუასთან – გიგო ერქომაიშვილთან ერთად მღეროდა ძველ გურულ სიმღერებს. ასეთ ადამიანს, რომელიც ღრმა ბავშვობიდანვე ეზიარა ხალხური სიმღერის მადლს, თითქოს, სხვა პროფესიაზე არც უნდა ეფიქრა, მაგრამ, სკოლის დამთავრების შემდეგ ჟურნალისტიკა განუზრახავს. ბაბუას, არტემ ერქომაიშვილს, მაშინ ასეთი სიტყვები უთქვამს ბადიშისთვის:

„შენ ჩვენს ოჯახში მუსიკალური ტრადიციების მატარებელი მეექვსე თაობა ხარ. ამჟამად მხოლოდ მე გამაჩნია ის სიმდიდრე, რომელიც არც ფულზე იყიდება და არც ოქროზე აიწონება. მე რომ რამე შემემთხვეს, ისეთი განძი წამყვება თან, რომელსაც ვერავინ აღადგენს და ამ ცოდვის სიმძიმე მე და შენ დაგვაწვება კისერზე. შენ სისხლში გაქვს გამჭდარი გურული სიმღერა და ამიტომ ყველაზე უკეთ შენ შეძლებ ამის გაკეთებას, თუ მუსიკალურ განათლებას მიიღებ“. ამ სიტყვებს დიდი გარდატეხა მოუხდენია ყმაწვილი კაცის აზროვნებაში... მალევე გაუცნობიერებია ბაბუას ნათქვამი და სკოლის დამთავრების შემდეგ, უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ნაცვლად, ჯერ სერგო ზაქარიაძის სახელობის კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებელი დაამთავრა, შემდეგ კი – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტი. ჯერ კიდევ სტუდენტმა დაიწყო ბაბუისგან გურული საგალობლებისა და ხალხური სიმღერების ჩაწერა და ნოტებზე გადატანა. პარალელურად, კონსერვატორიაში მეგობრებთან ერთად ჩამოაყალიბა ამ სიმღერა-საგალობლების შემსწავლელი ანსამბლი „გორდელა“, რომელმაც 15 წელი იარსება, კომუნისტურ ეპოქაში ქართველი მსმენელი ტრადიციული სიმღერა-გალობლისკენ მოაბრუნა

და პირველმა გააცნო მსოფლიოს ჩვენი საგანძური.



საიუბილეო აფიშა

1968 წელს ანზორ ერქომაიშვილმა მეგობრებთან ერთად ანსამბლი „რუსთავი“ შექმნა, რომელსაც 2018 წლის ჩათვლით ხელმძღვანელობდა. ამ 50 წლის მანძილზე ანსამბლს გამართული აქვს 7000-ზე მეტი კონცერტი მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანაში; ჩაწერილი აქვს 760-ზე მეტი ქართული ხალხური სიმღერა ფირფიტებისა და კომპაქტდისკების სახით.

1976 წელს, ანზორ ერქომაიშვილმა ჩამოაყალიბა და სათავეში ჩაუდგა ბიჭუნათა ანსამბლ „მართვეს“. ესაა ქართველ ბიჭუნათა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ღვაწლმოსილი ანსამბლი, რომელმაც ხუთი თაობა აღზარდა და ათასობით ბავშვს შეასწავლა ხალხური სიმღერები.

ქართული ტრადიციული მუსიკის პოპულარიზაციას ანზორ ერქომაიშვილი სატელევიზიო ეთერიდანაც აქტიურად ეწეოდა. წლების მანძილზე იგი იყო წამყვანი ტელეგადაცემათა ციკლებისა: „100 ქართული ხალხური სიმღერა“ და „მრავალჟამიერი“.

ფასდაუდებელია ანზორ ერქომაიშვილის, როგორც ხალხური მუსიკის შემკრების, დამსახურება. მან 1972 წლიდან მსოფლიოს მრავალი ქვეყნის არქივში (მოსკოვი, სანქტ-პეტერბურგი, კრასნოგორსკი, ლონდონი, რიგა) მიაკვლია ასეულობით ქართული ხალხური

სიმღერის ფონოგრამას, შესრულებულს 1907-დან 1930 წლამდე.

ბატონი ანზორი დღემდე უცხოეთის არქივებში მიკვლეული ჩანაწერების კატალოგიზაციაზე მუშაობს (კომპიუტერის გარეშე, საკუთარი ხელით ხაზავს და ავსებს მრავალკომპონენტიან ცხრილებს), ასწორებს პასპორტიზაციის დროს დაშვებულ ფაქტობრივ თუ კორექტურულ შეცდომებს და თავდაუზოგავად იღწვის ამ ჩანაწერების საქართველოში დასაბრუნებლად.



ანზორ ერქომაიშვილის დაჯილდოვება წმინდა გიორგის ორდენით

სწორედ ანზორ ერქომაიშვილის დამსახურებაა უძველესი გრამფირფიტების რესტავრაცია, რის შედეგადაც მომავალ თაობებს საშუალება აქვთ, მოისმინონ ვანო სარაჯიშვილის, სანდრო ინაშვილის, ნიკო ქუმსიაშვილის, სანდრო კავსაძის, ვარლამ სიმონიშვილის, სამუელ ჩავლეიშვილის, ავესენტი მეგრელიძის, ნოკო ხურციას, კირილე პაჭკორიას, მარო თარხნიშვილის, არტემ ერქომაიშვილის, ლევან ასაბაშვილის, ვანო მჭედლიშვილისა და სხვა მომღერალთა საუკუნის წინანდელი ჩანაწერები...

1983-1996 წლებში ანზორ ერქომაიშვილის ინიციატივითა და ხელშეწყობით უცხოური ფირმებისათვის ჩაიწერა 300-ზე მეტი ქართული ხალხური სიმღერა, რომლებიც კო-

მპაქტური დისკების სახით ვრცელდება მთელ მსოფლიოში.

ყოველივე ამის პარალელურად, 1985-1989 წლებში ანზორ ერქომაიშვილმა მოახერხა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ცნობილი მომღერლებისა და მათი ანსამბლების დედაქალაქში ჩამოყვანა და მათი ჩაწერა. დაფიქსირდა ასეულობით ქართული ხალხური სიმღერა, რომლებმაც ფაქტობრივად, სასწავლო დანიშნულება შეიძინეს.

ბატონი ანზორი შემდგენელია მრავალი სანოტო კრებულისა და ფონოჩანაწერების კატალოგისა. მათ შორისაა: ქართული (გურული) ხალხური სიმღერების კრებულები, „მართვე“ 20 წლისაა, „პირველი ფონოჩანაწერები საქართველოში“, არტემ ერქომაიშვილისაგან ჩაწერილი სანოტო კრებული – ქართული ხალხური (გურული) სიმღერები და საგალობლები, 1901-1930-იანი წლების ქართული აუდიოჩანაწერები უცხოეთში, ქართული ხალხური სიმღერა – ანსამბლი „რუსთავი“, ანსამბლი „რუსთავი“ 40 წლისაა; 400 ქართული ხალხური სიმღერა... ბატონი ანზორის ორგანიზებით მომზადდა და გამოიცა XX საუკუნის ანთოლოგიის „საქართველო, ისტორია, კულტურა, ეთნოგრაფია“ ერთი ნაწილი, რომელიც ქართულ ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებას მოიცავს.

2001 წელს სწორედ ანზორ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით წარედგინა იუნესკოს პროექტი „ჩაკრულო“, რომლის საფუძველზეც ქართული პოლიფონია აღიარებულ იქნა, როგორც „კაცობრიობის ზეპირსიტყვიერი და ხელთუქმნელი მემკვიდრეობის შედეგრი“. ამავე წელს ანზორ ერქომაიშვილის ინიციატივით და იუნესკოს ხელშეწყობით ჩამოყალიბდა ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი, რომელმაც არაერთი მნიშვნელოვანი გამოცემა აჩუქა ქართული მუსიკალური ფოლკლორის შესწავლით დაინტერესებულ ადამიანებს.

ანზორ ერქომაიშვილის ჟურნალისტურმა ნიჭმა თავისი გზა მანც ნახა. ერთმანეთზე უფრო საინტერესოდ იკითხება მისი წიგნები: „ბაბუა“, „შავი შაშვი ჩიოდა“, „ჩემი ბაბუა არტემ ერქომაიშვილი“, „გზები, ადამიანები, სიმღერები“, „გივი მასწავლებელი“, „ჩვენი საფეხბურთო ჯადოქრები“, „ჩემი სოფელი“, „ხმანი უცნაურნი“, „მივალ გურიაში, მარა...“, „ძველი სიმღერების კვალდაკვალ“... და სხვები.

ანზორ ერქომაიშვილის მრავალფეროვანი შემოქმედების საინტერესო ნაწილია მის მიერ შეთხზული სიმღერებიც. მისთვის დამახასიათებელი მოკრძალებისა და თავმდაბლობის გამო, ხშირ შემთხვევაში, არც კი ამხელდა, რომ არაერთი პოპულარული სიმღერა, რომელსაც დღეს ხალხურად მიიჩნევენ, მისი შექმნილია. კერძოდ: „მივალ გურიაში, მარა“, „თუ ასე ტურფა იყავი“, „ქალი გადმოდგა მთაზედა“, „აის ღრუბლები მიყვარან!“, „საიდან მოხველ შენ, ქალო“, „ხარება და გოგია“, „შირაქის ველზე მივდივარ“, „ხარს ვგეგვარ ნაიალადარს“, „ქალო, გიხდება ქამარი“, „გაზაფხულთან ერთად ვიტყვი სიმღერას“.

ბატონი ანზორის ღვაწლის წარმოსაჩენად მხოლოდ იმ ჯილდოებისა და პრემიების ჩამოთვლაც კმარა, რომელიც მას ბოლო ოთხი ათეული წლის მანძილზე აქვს მიღებული. ესენია: შოთა რუსთაველის, ივანე ჯავახიშვილის, ილია ჭავჭავაძის, ექვთიმე თაყაიშვილის, ალბერტ შვაიცერის, იაკობ გოგებაშვილის, ზაქარია ფალიაშვილის, ნიკო ბერძენიშვილის, დიმიტრი არაყიშვილის სახელობის პრემიები, საქართველოს სახალხო არტისტის წოდება, ესტონეთის საპატიო სიგელი, მექსიკის პრიზი სპექტაკლის საუკეთესო მუსიკალური გაფორმებისათვის, საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის წოდება, საქართველოს სახელმწიფო ჯილდო – ღირსების ორდენი, საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო — წმინდა გიორგის ორდენი, თბილისის სახელ-

მწიფო კონსერვატორიის საპატიო პროფესორის წოდება, ფონდ „ქართული გალობის“ ჯილდო „ქართული ხალხური სიმღერის გადარჩენისთვის“, თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება. 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ბატონ ანზორს გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესმა სასწავლებელმა ემერიტუს-პროფესორის წოდება მიანიჭა.

ანზორ ერქომაიშვილმა ღირსეულად იტვირთა მართლაც ისტორიული მისია და უკვე ექვს ათეულ წელზე მეტია, იღწვის ქართული მუსიკალური ფოლკლორის საკეთილდღეოდ... გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მისი სახით ქართულ ფოლკლორს საიმედო ქომაგი, ერთგული გულშემატკივარი და ოჯახური ტრადიციების სამაგალოთო დამცველი ჰყავს.


მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის სახელით, ვულოცავთ ბატონ ანზორს იუბილეს და ჯანმრთელობას, სიმხნევს და აქტიური მოღვაწეობის კიდევ მრავალ ნაყოფიერ წელს ვუსურვებთ.

მაკა ხარძიანი

ერთი ახალი გამოცემის შესახებ
**აჭარული ხალხური სიმღერების
თვითმასწავლებელი**

გამოიცა აჭარული ხალხური სიმღერების სანოტო კრებული სასწავლო აუდიო-დისკით. კრებული მეორე გამოცემაა სერიიდან – შვეისწავლოთ ქართული ხალხური სიმღერა. იდეის ავტორი და გამოცემათა ხელმძღვანელია ანზორ ერქომაიშვილი, რედაქტორი – ნინო კალანდაძე-მახარაძე, პროექტის კოორდინატორი და კრებულის შემდგენელი – ნინო რაზმაძე.

კრებულში 24 აჭარული სიმღერის სანოტო და აუდიოვერსიაა შესული. სიმღერები, სასწავლო მიზნით, ოთხ ბილიკადაა ჩაწერილი: პირველ ბილიკზე სიმღერის სრული ვერსიაა მოცემული, დანარჩენ სამზე კი – ხმები რიგ-რიგობითაა გამოყოფილი. გამოცემა აჭარის ტრადიციული მუსიკალური მემკვიდრეობის ნიმუშების სწავლებასა და პოპულარიზებას ემსახურება. ამასთან, აუდიოჩანაწერებიდან შესწავლა ხელს შეუწყობს აჭარული სიმღერების კილოური წყობის, ინტონირების თავისებურებების, ხმათა ურთიერთმიმართების, იმპროვიზაციის ხერხების, საშემსრულებლო მანერის შეცნობა-გათავისებას.



სიმღერებს ასრულებს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის ფოლკლორული ანსამბლი „მოყვარე“ (ხელმძღვანელები – ამირან და ჯემალ თურმანიძეები) და ქედის მუნიციპალიტეტის ფოლკლორული ანსამბლი „ელესა“ (ხელმძღვანელი – ირაკლი სირაბიძე).
ანსამბლი „მოყვარე“

სასიმღერო და საცეკვაო ტრადიციებით განთქმული ქედის მუნიციპალიტეტის სოფელი მერისი იმ ბედნიერ გამონაკლისთა შორისაა, დღემდე რომ ერთგულებს მამა-პაპათა ტრადიციებს და მათ სიცოცხლისუნარიანობას უნარჩუნებს. ამ ტრადიციების შენახვა-გადარჩენასა და განვითარებაში ათეული წლებია განსაკუთრებული წვლილი თურმანიძეების

ოჯახს შეაქვს. თურმანიძეთა გვარი ისტორიის შორეული სამანებიდან მოდის. მედიცინაში გამორჩეულთ, სიმღერის ნიჭი დაჰყოლიათ და აქაც დაუტოვებიათ წარუშლელი კვალი. მერისელ თურმანიძეებზე დაბეჯითებით შეიძლება ამის თქმა.

სოფელ მერისის ფოლკლორულ ანსამბლს შვიდი ათეული წელი შეუსრულდა. ანსამბლი 1950 წელს რევაზ თურმანიძემ ჩამოაყალიბა და დღესაც მის გზას იმავე სოფლის, გვარის, ოჯახის შთამომავალნი – ამირან და ჯემალ თურმანიძეები აგრძელებენ.

ანსამბლი 2006 წელს საფუძვლიანად გადახალისდა: მამას, ამირანს, შვილი წამოემშველა და ჯემალ თურმანიძის ხელმძღვანელობით ახალგაზრდა თაობა მოვიდა. სახელიც მაშინ ეწოდა – „მოყვარე“. ქართულ ენაში უამრავი ულამაზესი და უმშვენიერესი სიტყვა არსებობს. ამათ რიცხვშია სემანტიკურად სიყვარულთან დაკავშირებული, ამ ძირიდან ამოზრდილი – მოყვარე: ანსამბლის წევრები ერთმანეთის მოყვარე, ოჯახის წევრები, ბიძამისწულ-დისწულები და ნათესავები არიან.

„მოყვარეს“ მიზანი მშობლიური სოფლის მუსიკალურ-ფოლკლორული ტრადიციების შენახვა, გაცოცხლება და თაობებზე გადაცემაა, რასაც პირნათლად ასრულებს კიდევ. დღეს „მოყვარეში“ სამი თაობა მღერის, რაც ამ მხარის ფოლკლორულ-სასიმღერო ტრადიციების უკვდავების უტყუარი გარანტია.

ანსამბლის რეპერტუარში ძირითადად ტრადიციული მერისული სიმღერები და აჭარული სიმღერების მერისული ვარიანტებია.

2010 წელს ეთნომუსიკოლოგ ნინო რაზმაძის ავტორობითა და ხელმძღვანელობით წარმატებით განხორციელდა პროექტი – ერთი სოფლის ფოლკლორი: მერისი, აჭარა. პროექტი გულისხმობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის არქივში დაცული საექსპედიციო მასალების მიხედვით ადგილობრივი ტრადიციული სიმღერების

რების აღდგენა-გაცოცხლებასა და ფართო მსმენელის წინაშე გამომჩეურებას. პროექტის პრეზენტაცია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა. განმეორებითი ჩვენება 2011 წელს გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ბათუმის საერთაშორისო კონფერენციასა და ფესტივალზე შედგა.



ანსამბლი „მოყვარე“

ქართული ტრადიციული მუსიკით უცხოელი მსმენელის მზარდი დაინტერესების პირობებში მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სიმღერების ადგილობრივი შემსრულებლებისაგან შესწავლას. ამ მხრივ „მოყვარე“, – ამირან, ჯემალ, ბესიკ და რევაზ თურმანიძეების ოჯახის სახით, – აქტიურად და ნაყოფიერად მოღვაწეობს – მართავს ლექცია-კონცერტებსა და მასტერკლასებს უცხოელი მოყვარული თუ პროფესიონალი მუსიკოსებისათვის და დიდი წვლილი შეაქვს ფოლკტურიზმის განვითარებაში.

2017 წელს ფონდმა „ქართული გალობა“ ანსამბლის ხელმძღვანელი და უხუცესი წევრი ამირან თურმანიძე დააჯილდოვა ნომინაციაში – ქართული ფოლკლორის მოამაგე. იმავე წელს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა „მოყვარეს“ პირველი აუდიოალბომი გამოსცა (შემდგენელი – ნანა ვალიშვილი).

ანსამბლი „ელესა“

სასცენო-ფოლკლორული შემსრულებლობის ტრადიცია ქედაში სათავეს იღებს

1930-იანი წლების ბოლოდან, როცა ქედის კულტურის სახლთან ქალთა და მამაკაცთა შერეული გუნდი ჩამოყალიბდა. გარდატეხა 1990-იანი წლების დასაწყისში მოხდა: შერეული გუნდი დაიშალა და ლოტბარმა ტარიელ მამალაძემ მამაკაცთა რვაკაციან ჯგუფთან განაგრძო მუშაობა, რომელიც მალე ფოლკლორულ ანსამბლად ჩამოყალიბდა.

„ელესა“ ანსამბლს 1996 წლიდან ეწოდა, მისი განახლებული შემადგენლობა კი 2011 წლიდან არსებობს. ანსამბლს ირაკლი სირაბიძე ხელმძღვანელობს, ხოლო 2019 წლამდე კონსულტანტი იყო ტარიელ მამალაძე.

„ელესას“ რეპერტუარი ძირითადად ტრადიციულ ზემოაჭარულ (ქედა, შუახევი, ხულო) სიმღერებს მოიცავს. ანსამბლის მთავარი შემოქმედებითი ამოცანაც ესაა – მოიძიოს და ხელახალი სიცოცხლე მიანიჭოს აჭარის მთიანეთის ტრადიციულ ფოლკლორულ ნიმუშებს.

„ელესა“ სიმღერებს მეტწილად საარქივო ჩანაწერებიდან აცოცხლებს. ანსამბლმა უკვე ათობით უძველესი ზემოაჭარული სიმღერა აღადგინა და რეპერტუარში დაამკვიდრა. ავთენტიკური საშემსრულებლო სტილის შენარჩუნება და, ამავდროულად, ფოლკლორული ნიმუშების ბუნებრივი, გათავისებული შესრულება განაპირობებს ანსამბლის პოპულარობასა და შემოქმედებით წარმატებას.

„ელესას“ პირველი აუდიოალბომი 2016 წელს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა (შემდგენელი – ნანა ვალიშვილი), ხოლო მეორე – 2017 წელს ფონდმა „ქართულმა გალობამ“ (შემდგენელი – ნინო რაზმაძე) გამოსცეს. ანსამბლის რეპერტუარიდან შვიდი სიმღერა შეტანილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცემულ აუდიოალბომში „აჭარული ხალხური სიმღერები“ (2013).

აჭარაში ტრადიციული მრავალხმიანობის აღორძინებაში შეტანილი წვლილისთვის „ელესა“ დაჯილდოვდა საქველმოქმედო ფო-

ნდ „ქართული გალობისა“ (2013) და წინანდლის (2014) პრემიებით.



ანსამბლი „ელესა“

აჭარული სიმღერების თვისთმასწავლებელში შესული აუდიომასალა ჩაწერილია 2019 წელს ქართულ-გერმანული ექსპედიციის ფარგლებში გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის მოძრავი ხმის ჩამწერი სტუდია „ქართული გალობის“ მიერ. ერთობლივ ექსპედიციაში გერმანულ მხარეს წარმოადგენდა პოტსდამის უნივერსიტეტი – პროფესორი ფრანკ შერბაუმი და ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ეთნომუსიკოლოგი ნანა მჟავანაძე (გერმანია, პოტსდამის უნივერსიტეტი), რომლებიც, გერმანული კვლევების ფონდის (German Research Foundation) დაფინანსებით, ერლანგენის უნივერსიტეტთან ერთად ახორციელებენ სამწლიან პროექტს (2019–2021) ტრადიციული ქართული ვოკალური მუსიკის კომპიუტერული ანალიზი (Computational Analysis of Traditional Georgian Vocal Music). ექსპედიციის ქართულ მხარეს წარმოადგენდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი და საქველმოქმედო ფონდი „ქართული გალობა“.

ნანა ვალიშვილი

ეთნომუსიკოლოგი, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხალხური მუსიკის მიმართულების ხელმძღვანელი

ქართული სიმღერის უცხოელი შემსრულებლები

სიმპოზიუმის დასკვნითი კონცერტი „გაუმარჯოს“ უცხოური გუნდების მონაწილეობით



კონცერტის აფიშა

ბოლო 50 წლის განმავლობაში მთელ მსოფლიოში უფრო და უფრო მეტად აფასებენ ქართული ტრადიციული მუსიკის სილამაზესა და სირთულეს. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გუნდებში ასობით მომღერლის რეპერტუარი ამ სიმღერებზეა აგებული. უკანსკნელ წლებში მათი შთაგონების წყაროს წარმოადგენენ როგორც ქართველი ეთნომუსიკოლოგების – ანზორ ერქომაიშვილის, ედიშერ გარაყანიძის, იოსებ ჟორდანიას, ნინო ციციშვილის ნაშრომები, ისე გუნდები და ანსამბლები, როგორცაა „რუსთავი“, „ბასიანი“, თურმანიძეების ოჯახი და მრავალი სხვა, აგრეთვე ცელკეული მომღერლები, რომლებიც მსოფლიოში მოგზაურობდნენ და ასწავლიდნენ ქართულ ტრადიციულ სიმღერებს. უცხოური გუნდები მონაწილეობდნენ ყოველ სიმპოზიუმზე აკადემიური პროგრამის პარალელურად მიმდინარე თანმხლებ კულტურულ პროგრამაში, და მადლიერები არიან სწავლის, ადგილობრივ და სხვა უცხოელ მომღერლებთან შეხვედრის და მათი მოსმენის, არაჩვეულებრივ კონცერტებზე გამოსვლის შესაძლებლობისა და ტმკსცის მასპინძლობისთვის. ბევრს სურდა 2020 წლის სიმპოზიუმზე დასწრება, მაგრამ COVID-19-ის გამო მოგზაურობაზე დაწესებულმა შეზღუდვებმა ეს შეუძლებელი გახადა.



როჯერ ქინგი

თვეების განმავლობაში COVID-19 ხელს უშლიდა მომღერლების შეხვედრას ერთ სივრცეში. ზოგიერთებმა საერთოდ შეწყვიტეს რეპეტიცია, სხვებმა დახვეწეს ონლაინ მუშაობისა და ჩაწერის უნარები.

მელბურნში დაფუძნებულ ავსტრალიურ მულტიკულტურულ მუსიკალურ ორგანიზაციას Boite (Victoria) Inc., რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ტმკსც-ის სიმპოზიუმების ერთგულია, მის მის მიერ მხარდაჭერილ ორ გუნდთან – „გორანთან“ და მელბურნის ქართულ გუნდთან ერთად, ძალისხმევა არ დაუკლია რომ მორგებოდა COVID-19 გარემოს. რეპეტიცია ზუმის ფორმატში ძალიან მოუხერხებელია. შემსრულებლებს უწევთ სიმღერა წინასწარ ჩაწერილი ბილიკების მიხედვით, ხმაჩაწეულ მიკროფონებში, რათა თავიდან აიცილონ ონლაინ სისტემაში მნიშვნელოვანი შეყოვნებებით (დაგვიანებებით) გამოწვეული ქაოსი. ამ ჯგუფებმა, სხვა კოლექტივებთან ერთად დაიწყეს სიმღერების ვიდეო ჩანაწერების კეთება. აქედან გაჩნდა იდეა ჩატარებინათ X საიუბილეო სიმპოზიუმის ონლაინ კონცერტი მსოფლიოს სხვა გუნდებთან ერთად COVID-19 პანდემიის ამ რთულ, მაგრამ ისტორიულ წელს.

X საიუბილეო სიმპოზიუმის ონლაინ კონცერტის ჩატარების იდეა მსოფლიოს სხვა გუნდებთან ერთად მიღებული იქნა მსოფლი-

ოში გავრცელებული COVID-19 პანდემიის გამოწვევების საპასუხოდ, რამაც აიძულა მრავალხმიანობის კვლევის ცენტრი, მეცნიერებისა და მომღერლების ჩვეულებრივ ერთკვირიანი შეკრება საერთაშორისო სიმპოზიუმზე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, ჩაენაცვლებინა 2020 წლის დონისძიების ონლაინ ფორმატში ჩატარებით.



ანსამბლი „მასპინძელი“ (დიდი ბრიტანეთი)

2020 წლის 29 აგვისტოს დოქტორ იოსებ ჟორდანიას დახმარებით როჯერ ქინგმა, ტმკსც დირექტორს, ქ-ნ რუსუდან წურწუმას შესთავაზა 2020 წლის 20-24 ოქტომბერს დაგეგმილი სიმპოზიუმის პროგრამაში შეეტანა საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული ტრადიციული სიმღერების შემსრულებელი უცხოური გუნდების ონლაინ კონცერტი. მომღერლების საერთაშორისო ქსელისა და ტმკსც-ის ხელთ არსებული სიების გამოყენებით დავუკავშირდით გუნდების ხელმძღვანელებს.

აღსანიშნავია ჯონ გრემის, მეთიუ ნაითის, ჯეფ ბარტონის, ჯენ მორისის, ლილ ჰაინცლის და ტერეზ ვირთიუს ფასდაუდებელი წინასწარი დახმარება. მკაცრად შეზღუდული ვადებისა და ჩვენს მიერ წინასწარ დაგეგმილი 10 ვიდეოს მიწოდების მიუხედავად, 24-მა გუნდმა შემოგვთავაზა ქართული ტრადიციული ან ქართულით ინსპირირებული სიმღერების 37 ვიდეო ჩანაწერი შესავალთან ერთად. ამ ვიდეოების უმეტესობა ჩაწერილი იყო COVID-19-ის გამო დაწესებული შეზღუდვების პირობებში. გარკვეული შესწორებებითა

და ყველა მონაწილე მხარის თანამშრომლობით, რეჟისორმა ჯულს ობერმა 22 ვიდეო ჩანაწერი გააერთიანა საათისა და შვიდი წუთის ხანგრძლივობის პრეზენტაციად სიმპოზიუმის დასკვნითი ღონისძიებისთვის. კონცერტი შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორმა ქ-მა ნანა შარიქაძემ, და დახურა ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელმა ქ-მა რუსუდან წურწუმიამ. ონლაინ კონცერტი გადაიცემოდა ფართო საერთაშორისო აუდიტორიისთვის პლათფორმით Youtube.



ანსამბლი „სლავეია“ (აშშ)

“ცოცხალ” კონცერტს უყურებდა 500-მდე ადამიანი საქართველოში, კანადაში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და ავსტრალიაში. მონაწილე გუნდების წევრები, სიმპოზიუმის მონაწილეები და მასპინძლები დაესწრნენ ონლაინ შეკრებას ზუმის ფორმატში, რომელიც დაიწყო კონცერტის დაწყებამდე 45 წუთით ადრე და დასრულდა კონცერტის დამთავრებიდან 45 წუთის შემდეგ. იმის მიუხედავად, რომ მონაწილეთა უმრავლესობა გადაღლილი იყო ონლაინ საკონფერენციო შეხვედრებითა და რეპეტიციებით, ეს მაინც განსაკუთრებით ცოცხალი შეკრება იყო.

კონცერტში მონაწილეობდნენ ანსამბლები: „ჩელა“ (კემბრიჯი, დიდი ბრიტანეთი), „მაჰარი“ (ტორონტო, კანადა), „გორანი“ (მელბურნი, ავსტრალია), „ჰარირა“ (მონრეალი, კა-

ნადა), „კალენდარი“ (ტორონტო, კანადა), „კიტკა“ (ოკლენდი, კალიფორნია, აშშ), ნაითების ოჯახი (ვინიპეგი, კანადა), „კორონას კვარტეტი“ (საერთაშორისო შემადგენლობა), „მასპინძელი“ (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი), მელბურნის ქართული გუნდი (მელბურნი, ავსტრალია), „მზე შინა“ (საფრანგეთი), „ნიავი“ (ვაშინგტონი, აშშ), ნინოს მასტერკლასის გუნდი (საერთაშორისო შემადგენლობა), „ორი შალვა“ (ტორონტო, კანადა), „სამშაბათი“ (ბიომი, საფრანგეთი), „საჩუქარი“ (საფრანგეთი), „სლავეია“ (ვაშინგტონი, აშშ), „ტევრი“ (ჰელსინკი, ფინეთი), „წინწყარო“ (მელბურნი, ავსტრალია), იელის რუსული გუნდი (ნიუ ჰეივენი, აშშ), ზუმის სოფელი (საერთაშორისო შემადგენლობა).

კონცერტი ატვირთულია მისამართზე: <https://www.youtube.com/watch?v=3HDyzR9pO64>. დეკემბრის შუა რიცხვებში მას ჰქონდა 3100 ნახვა. ყველა წარმოდგენილი ვიდეო ინდივიდუალურად აიტვირთა ვებ გვერდზე და თითოეულს ასობით ნახვა აქვს. პროექტის მხარდასაჭერად ონლაინ ტექნოლოგია შეარჩია, რამდენიმე საათიანი ვიდეო მოამზადა და ატვირთა ეიალ ჩიპკევიჩმა, ბოიტის გენერალურმა მენეჯერმა ავსტრალიის ქალაქ მელბურნში, რუსუდან წურწუმიასა და მისი თანამშრომლების, განსაკუთრებით თეონა ლომსაძის მუდმივი მხარდაჭერით. ეიალ ჩიპკევიჩის საქმიანობის სპონსორი იყო ბოიტი, ყველა სხვა – ნებაყოფლობით შესრულდა.

როჯერ ქინგი

კონცერტის ინიციატორი და კოორდინატორი

ერთი ახალი ანსამბლი

„გორდა“

ანსამბლი „გორდა“ სამი წლის წინ ჩამოყალიბდა, თუმცა, ბოლო ერთი წლის ეპიდემიოლოგიურ სიტუაციას თუ გავითვალისწინებთ, მან ორი წლის მანძილზე მოასწრო არამარტო ქართველი, არამედ უცხოელი მსმენელის დაინტერესებაც. როგორი იყო ანსამბლის შემოქმედებითი ცხოვრება პანდემიამდე და როგორ პასუხობს „გორდა“ თანამედროვე გამოწვევებს, ამის შესახებ ანსამბლის ხელმძღვანელი, გიორგი გორდელაძე გვესაუბრება.



გიორგი გორდელაძე

მ.ხ. – როდის გაჩნდა ანსამბლის შექმნის იდეა და როგორ შეასხით ხორცი?

გ.გ. – თავიდან სიმართლე გითხრათ, გურული ტრიოს ჩამოყალიბების იდეა გვქონდა. მე და ჩემს ძმას, დამიანეს, ბატონი ტრისტან სიხარულიძის შვილიშვილთან, ლევან სიხარულიძესთან ერთად თბილისში ხშირად გვიწევდა სიმღერა და ვიფიქრეთ, რომ ტრიო შეგვექმნა. მაშინ მე უკვე გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უნივერსიტეტში ვირიცხებოდი. ისე მოხდა, რომ ამ ტრიოს შემდეგ სხვა ბიჭებიც, უმთავრესად, ამ უნივერსიტეტის სტუდენტები შემოუეთდნენ. წევრების რაოდენობა ნელ-ნელა გაიზარდა და

დაახლოებით 2017 წლიდან ანსამბლის სახე მივიღეთ.

მ.ხ. – რატომ უწოდეთ ანსამბლს „გორდა“?

გ.გ. – სახელწოდება სიმბოლურია. როგორც იცით, გორდა ძველი ქართული პატარა ზომის ხანჯალია. სწორედ ასეთ ხანჯლებს ამზადებდნენ ჩემი წინაპრები გურიაში. გვარი გორდელაძეც აქედან მოდის.

მ.ხ. – რა პროფესიის ადამიანები ხართ გაერთიანებული ანსამბლში?

გ.გ. – ამჟამად ანსამბლში 12 ვართ: ალექსანდრე მიქელაძე, აკაკი კუპრავა, ბაჩანა მელაშვილი, გიგა დიასამიძე, გიორგი შანავა, დავით კოლელიშვილი, დამიანე გორდელაძე, თენგიზ ალხაზიშვილი, ილია ხვიჩია, ლევან იოსავა, რატი იაძე და თქვენი მონა-მორჩილი.

როგორც გითხარით, ანსამბლის წევრთა უმრავლესობა გალობის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ვართ. სწორედ იქ მოხდა ჩვენი დაახლოება და დაოსტატება. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ერთ-ერთი სოლისტი, დავით კოლელიშვილი ამ უნივერსიტეტის ლექტორია და ანჩისხატის გუნდის სახელოსნოს კახური სიმღერის მიმართულებას ხელმძღვანელობს; ილია ხვიჩია და ალექსანდრე მიქელაძე ფოლკლორის ცენტრის სალოტბარო სკოლის რეგენტ-ლოტბარები არიან; პედაგოგიურ საქმიანობას ეწევიან აკაკი კუპრავა და გიგა დიასამიძეც; ბაჩანა მელაშვილი ანსამბლ „მძლეწარშია“ გაზრდილი და მისი სოლისტი გახლდათ წლების განმავლობაში; ლევან იოსავა და თენგიზ ალხაზიშვილი კი „გორდას“ პარალელურად აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლშიც მღერიან.

მ.ხ. – საიდან ირჩევთ რეპერტუარს და უფრო რომელი კუთხის სიმღერებს ანიჭებთ უპირატესობას?

გ.გ. – უნდა გითხრათ, რომ თავდაპირველად ავიღეთ ის მიმართულება, რასაც ალბათ ყველა მისდევს ანსამბლის შექმნის პირველ ეტაპზე, ვგულისხმობ ძველი საარქივო ჩანაწერებიდან და სანოტო კრებულებიდან რეპერტუარის შე-

რჩევას და გარჩევას. მოგვიანებით მივხვდით, რომ არ გვინდოდა, ჩვენი ძირითადი მიმართულება ეს ყოფილიყო, ამიტომ ვარჩიეთ ჩვენ ინდივიდუალურ ხელწერაზე გვეზრუნა და დავიწყეთ ძველ, ხალხურ მოტივებზე სიმღერების შექმნა, ტექსტების მოძიება და მათი ახალ მელოდიებზე გაწყობა, რამაც, ვფიქრობთ, გაამართლა. ეს პროცესი არ არის მარტივი, მაგრამ შემოქმედებითად ძალიან საინტერესო და მიზნიდველია, როგორც მსმენელებისთვის, ისე – შემსრულებლებისთვის. არ ვანიჭებთ უპირატესობას არც ერთ კუთხეს. ვცდილობთ, მეტ-ნაკლებად ყველა დიალექტი მოვიცვათ და ჩვენი ხელწერით აღბეჭდილი ახალი ნიმუშები შევქმნათ.

მ.ხ. – არის თუ არა გადამწყვეტი რეპერტუარის შერჩევას ანსამბლის წევრების წარმომავლობა?

გ.გ. – ზოგადად რომ გიპასუხოთ, ვფიქრობ, კი. მნიშვნელოვანია, ვინ მღერის ამა თუ იმ კუთხის სიმღერას, მაგრამ მე დავამატებდი უფრო საინტერესო და გასათვალისწინებელ აზრს: თუკი მომღერლის სიმღერა არის გულწრფელად ნამღერი, თუ იგი „ნაღდია“ და უბრალოდ კი არ მღერის, არამედ თავის თავს ამ სიმღერით წარმოადგენს, მაშინ, დარწმუნებული ვარ, რომ ასეთ სიმღერას და მომღერალს ყოველთვის ეყოლება მსმენელი, მიუხედავად იმისა, საიდანაა ის წარმოშობით. თუ სიმღერაში, პროფესიონალიზმთან ერთად, გული და სული დევს, ის ყინულსაც გააღლებს.

მ.ხ. – რამდენად აქტიური შემოქმედებითი ცხოვრება გქონდათ პანდემიამდე?

გ.გ. – ჩამოყალიბების დღიდან, ვცდილობდით აქტიურად ვყოფილიყავით ჩართული სხვადასხვა ღონისძიებაში, როგორც თბილისში, ისე – რეგიონებში. აქტიურად ვთანამშრომლობდით და დღესაც ვთანამშრომლობთ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან. საბედნიეროდ, საგასტროლო მოგზაურობის შესაძლებლობაც მოგვეცა და უცხოელ მსმენელსაც გავაცანიტ ჩვენი შემოქმედება. 2019 წელს კონცერტები გავ-

მართეთ ქ. ვილნიუსის სახელმწიფო ფილარმონიაში, პარიზის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის ღია სცენაზე, მოსკოვის მუსიკის აკადემიის დიდ სცენაზე და ა.შ.



ანსამბლი „გორდა“

გამოხმაურება მართლაც შთამბეჭდავი იყო, თუმცა, ვფიქრობ, ის ოვაციები და ქება, რომელიც ჩვენ დავიმსახურეთ, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ხალხურ სიმღერას და იმ დიდ ადამიანებს ეკუთვნის, ვინც ეს განძი ჩვენამდე მოიტანა.

მ.ხ. – სოლო კონცერტის გამართვა თუ „მოსწარით“?

გ.გ. – პირველი სოლო კონცერტი 2018 წლის მაისში გავმართეთ თბილისში, სამეფო უბნის თეატრის დარბაზში, რისთვისაც მადლობას ვუხდით თეატრის ადმინისტრაციას.

მ.ხ. – აუდიოალბომიც ხომ არ ჩაგიწერიათ?

გ.გ. – მასში შევიდა თითქმის ყველა კუთხის სასიმღერო ნიმუშები, როგორც საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი, ასევე უცნობი სიმღერებიც. ჩვენთვის სასიხარულოა, რომ ამ ალბომში არის ჩვენი მასწავლებლების, ტრიო "შალვა ჩემოს" მომღერლების, ტრისტან და გური სიხარულიძეების უკვდავი ვარიანტები სიმღერებისა: „ჩვენ მშვიდობა“ და „უწინარეს მას ვადიდებთ“. მე მქონდა ბედნიერება, მე-მეგობრა და ბევრი რამე მესწავლა გური სიხარულიძისგან, რომელიც უნიკალური მომღერალი გახლდათ გურიაში; ტრისტან სი-

ხარულიძე კი ჩემი პირველი მასწავლებელი გახლდათ და მართლა ვამაყობ, რომ ასე გამიმართლა. მე დღემდე ვსწავლობ მისგან და უზომოდ მადლიერი ვარ მისი!

მ.ხ. – ამჟამად რას საქმიანობთ და რას გეგმავთ?

გ.გ. – 2020 წლის დასაწყისში აქტიურად ვემზადებოდით სოლო კონცერტისთვის. ვგეგმავდით, რომ გაზაფხულზე სრულიად ახალი და, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენ მიერ გადაამუშავებული და შექმნილი სიმღერები გამოგვეტანა დღის სინათლეზე, მაგრამ პანდემიამ შეგვიშალა ხელი. ვფიქრობთ, როგორც კი დავუბრუნდებით აქტიურ ცხოვრებას, აუცილებლად გავმართავთ ამ კონცერტს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ახალ საკონცერტო დარბაზში. გარდა ამისა, პანდემიამდე ვმუშაობდით და ახლაც, შეძლებისდაგვარად, ვაგრძელებთ მუშაობას მეორე აუდიოალბომზე. მასში შევა ჩვენ მიერ ხალხური სიმღერის მოტივებზე შექმნილი სრულიად ახალი სიმღერები, რომელიც, ვფიქრობ, ყველას დააინტერესებს.

მ.ხ. – რა შეცვალა პანდემიამ ანსამბლის ცხოვრებაში? ახერხებთ შეხვედრებს შეზღუდვების პერიოდში?

გ.გ. – სამწუხაროდ, ბოლო ერთი წლის მანძილზე, ჩვენც, ისევე, როგორც ალბათ ბევრმა მუსიკოსმა, ვერ მოვახერხეთ შეკრება და რეპეტიციების ჩატარება. ძალიან მძიმე პერიოდი და მაქსიმალურად ვცდილობთ, გავუფრთხილდეთ ერთმანეთის ჯანმრთელობას.

მ.ხ. – თქვენი აზრით, ნაყოფიერია შემოქმედებითი ურთიერთობა დისტანციურად?

გ.გ. – დისტანციურად ვცდილობთ, გავუზიაროთ ერთმანეთს ძველი ჩანაწერები, ვისწავლოთ და გავეცნოთ საინტერესო ძველ თუ ახალ მუსიკალურ მასალას. ესეც ალბათ თავის კეთილ ნაყოფს გამოიღებს. ვფიქრობთ, რომ როცა სამშვიდობოს გავალთ, სულ სხვანაირად შევხედავთ ჩვენს სფეროს, უფრო დავაფასებთ ერთად სიმღერასაც და

ბევრ ძვირფას რამეს, რასაც აქამდე არ ვთვლიდით ასე მნიშვნელოვნად!

მ.ხ. – წარმოგიდგენიათ თუ არა მომღერალ-მგალობელთა ანსამბლების ხანგრძლივი მოღვაწეობა ონლაინ?

გ.გ. – ჩვენ ციფრულ ეპოქაში ვცხოვრობთ და მგონია, რომ მაქსიმალურად უნდა ავუწყოთ მას ფეხი. უნდა გამოვიყენოთ ყველა თანამედროვე ტექნოლოგია, თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, თავად ხალხური სიმღერა რა დოზით გვამღევეს ამის საშუალებას. აქტუალურად მიმაჩნია ონლაინ ფორუმები და კონცერტები, დისკუსიები ხალხური სიმღერის ირგვლივ და სხვა. მიხარია, რომ ამის პრაქტიკა უკვე გამოვიმუშავეთ. ქართული ხალხური მუსიკა მთელი მსოფლიოს საკუთრებაა და ჩვენ ყველა საშუალება უნდა გამოვიყენოთ, რომ ის მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ისმოდეს, მიუხედავად ჩვენი ფიზიკურად იქ არ ყოფნისა.

მ.ხ. – წარმატებებს გისურვებთ.

ინტერვიუ ჩაიწერა მაკა ხარძიანმა

უცხოური მრავალხმიანობა

ჩახესანგ ნაგას ტომის პოლიფონიური სიმღერა ინდოეთში

ჩახესანგ ნაგა – ინდო-მონღოლური წარმოშობის ეთნიკური უმცირესობა, ცხოვრობს მიანმარის საზღვართან მდებარე ჩრდილო-აღმოსავლეთ ინდოეთის ნაგალანდის შტატის სამხრეთ მთიან რაიონებში. საარსებო წყაროს მათი უმეტესობისთვის სოფლის მეურნეობა წარმოადგენს; მათი სოფლები გარშემორტყმულია ტერასებად გაშენებული მინდვრებით, სადაც ჭრიან/წვავენ ხეებს და მოჰყავთ კულტურული მცენარეები. დღესდღეობით მათი უმეტესობა ბაპტისტი ქრისტიანია; აქვთ მდიდარი ტრადიციული ვოკალური მრვლხმიანობა სახელწოდებით „ლი“, რომელიც არის

ერთგვარი საუბარი საკუთარი სოფლის სხვა მაცხოვრებლებთან.

დღეს „ლი“ ხშირად სრულდება სოფლის ქალების მიერ მთაზე გაშენებულ ბრინჯის ყანებში ერთობლივი მუშაობის დროს.



ჩახესანგ ნაგას ტრადიციული სამოსი

„ლი“ არ არის პარალელური პოლიფონია, თუმცა ხშირად გვხვდება პარალელური კვარტა, კვინტა და ოქტავა, ეს ასევე დამახასიათებელია სრული მეოთხე და მეხუთე ინტერვალების ჰარმონიული ტექსტურისთვის. „ლი“-ს რეპერტუარი შემდეგნაირად კლასიფიცირდება: თავისუფალ რიტმიანი „ლი“ და პულსირებულ-რიტმიანი „ტატი“:

1) თავისუფალ რიტმიანი „ლი“ სიმღერები სრულდება ა კაპელა და დიდი სეკუნდის ნელი ვიბრატოთი; 2) პულსირებულ-რიტმიანი ტატის სიმღერები სრულდება სიმების მოზიდვით დასაკრავი ინსტრუმენტის თანხლებით სახელად „ტატი“. „ტატი“-ში არაერთგზის მეორდება მარტივი რიტმული ნიმუშები მხოლოდ ორი ნოტიო. „ტატი“-ს სიმღერებში თითოეული ხმის პარტიაში მომღერალი ირჩევს სამხუთ ნოტს სამი ოქტავის C, E, G და A-ს შორის. საინტერესოა, რომ მი და ლა გამოიყენება როგორც ბეკარის ისე ბემოლის სახით, და ბგერის სიმაღლე მნიშვნელოვნად განსხვავდება თანაბარი ტემპერაციის ბგერის სიმაღლისგან. გარდა ამისა, „ტატი“-ს ზოგიერთ სიმღერისთვის დამახასიათებელია ბურდო-

ნული მრავალხმიანობა ან კანონიკური მრავალხმიანობა.

ჩოქრის ენაზე სიმღერის ტექსტი შედგება ოთხ-ხუთ-მარცვლიანი ორი მონაცვლე ფრაზისგან შემდგარი ფიქსირებული კუპლეტისგან.

„ლი“-სა და „ტატი“-ს სიმღერების ტექსტები სხვადასხვა თემაზეა, მაგ. სატრფიალო, ბუნების თავყვანისცემა, საბრძოლო, სოფლის გმირები, სამგლოვიარო, მეგობრობა და ა.შ. სამწუხაროდ ზოგიერთ სოფელში გაქრისტიანებისა და მოდერნიზაციის გამო სიმღერის ტრადიციული კულტურა გაქრობის საფრთხის წინაშე დგას. „ლი“-ს ტრადიციული მუსიკალური ელემენტები ჯერ ისევ მემკვიდრეობით გადაიცემა, მაგრამ ახალგაზრდებს შორის არსებობს ზოგადი ტენდენცია, ნაკლები ინტერესი თავისუფალრიტმიანი „ლი“-სა და „ტატი“-ს რთული სიმღერების მიმართ და შესრულების ნაკლები უნარი მათი სიღრმისეულად შესწავლის შესაძლებლობის არქონის გამო. გარდა ამისა, აღარ სრულდება საბრძოლო და სამგლოვიარო სიმღერები, ისინი ჩანაცვლა ქრისტიანობის გავლენით შექმნილმა ახალმა ტექსტებმა.



სოფლელი გოგონები ტატიო

რატომ განვითარდა პოლიფონიური სასიმღერო სტილი ჩახესანგ ნაგას საზოგადოებაში? ამაზე პასუხი შეიძლება გავცეს ხშირად გამოყენებულმა კუპლეტმა: „Ne hi mo

zho, Hanü di yo le“ (შენს გარეშე ბედნიერი არ ვარ). ამ სტრიქონს მრავალი ინტერპრეტაცია აქვს. ეს არის არა მხოლოდ გზავნილი შეყვარებულისთვის, არამედ ასევე მეტაფორაა იმისა, რომ ადამიანი მარტო ვერ იმღერებს და ერთად სიმღერას ბედნიერება მოაქვს. ეს ასევე არის მეტაფორა ჩახესანგის სოციალური სისტემისა, რომელიც დაფუძნებულია ადამიანებს შორის თანამშრომლობაზე. მე ვიტყვოდი, რომ ჩახესანგ ნაგას „ლი“-ს შემთხვევაში ეს ყველაზე მეტად ასოცირდება გაოგრაფიულ გარემოსა და შრომის ტრადიციულ კოოპერაციულ სისტემასთან. სოფელი ჩახესანგ ნაგა მდებარეობს მთიან რელიეფში, გარშემორტყმულია ტერასული ბრინჯის ყანებით; ხვნის, ფარცხვის, წყლის დაგუბების, გადაწერვის, მოსავლის აღების, ლეწვის და მარცვლეულის დაღერღვის უმეტესი ნაწილი სრულდება მეგობრების მცირე ჯგუფის მიერ სახელწოდებით „მიულე“, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და საპალნე ცხოველების გამოყენების გარეშე. ტერასულ ყანაში რიტმულად მუშაობის დროს როდესაც ვინმე იწყებს „ლი“-ს სიმღერას, „მიულე“-ს წევრები მას სხვადასხვა ხმებში აყვებიან. „ლი“-ს ერთობლივი შესრულება ხელს უწყობს შრომის ეფექტურობის გაუმჯობესებას და ეხმარება დადლილობის დამღევაში.

ემი ოკადა
იაპონიის ეთნოლოგიის ეროვნული მუზეუმის ასოცირებული პროფესორი

**ერთი რეგიონული ანსამბლი
 ანსამბლი „შგარიდა“ დმანისიდან**

ფოლკლორული ანსამბლი „შგარიდა“ სვანი ეკომიგრანტებისაგან, გურგენ გურჩიანის ინიციატივით, დმანისში შეიქმნა. მისი მიზანია სვანური სამუსიკო ფოლკლორის მივიწყებული ნიმუშების მოძიება, აღდგენა, გაცოცხლება და კვლევა. სახელწოდება „შგარიდა“ სვანურ ლაშქრულ სიმღერას უკავშირდება. დღეისათვის ანსამბლის რეპერტუარი ორმოცზე მეტი სვანური სიმღერისა და ფერხულისაგან შედგება. ანსამბლის შექმნის ისტორიასა და მიზნებზე მის ხელმძღვანელს, გურგენ გურჩიანს გავესაუბრეთ:

ს.კ. – მოგვიყევით ანსამბლის ჩამოყალიბების ისტორია. როდის დაარსდა ანსამბლი „შგარიდა“?

გ.გ. – ანსამბლი „შგარიდა“ შეიქმნა 2002 წელს. ჩვენი ანსამბლის მიმართულება თავიდანვე განისაზღვრა: საარქივო და საექსპედიციო ჩანაწერების აღდგენა, დამუშავება და კვლევა. სხვათა შორის, ანსამბლ „შგარიდას“ ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი ბატონ ანზორ ერქომაიშვილს მიუძღვის – მხარი დაგვიჭირა საწყის ეტაპზე და წაგვახალისა. ჩვენი ანსამბლის წინამორბედი დმანისში, შეიძლება ითქვას, იყო „ლილე“, რომლის წევრი მეც გახლდით. ამ ანსამბლმა რამდენიმე წელი იარსება, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო დაიშალა.

„შგარიდას“ შემოქმედებითი კრედო ძირეულად განსხვავდება „ლილეს“ საშემსრულებლო პრინციპებისგან. როგორც ვთქვი, ჩვენი ანსამბლის მიზანია ძველი, მივიწყებული სვანური სარიტუალო სიმღერა-საგალობლების ვარიანტების მოძიება და აღდგენა-გაცოცხლება. ანსამბლის შექმნის საწყის ეტაპზე მე მქონდა ჩემი პირადი ექსპედიციების დროს სვანეთში მოხუცი ეთნოფორებისაგან ცალ-ცალკე ხმებად ჩაწერილი 20-ზე მეტი უძველესი

სარიტუალო სიმღერის ფრაგმენტები, რომლებიც აღვადგინე და 2003 წელს, უკვე ამ რეპერტუარით, დმანისში ჩვენი ანსამბლის პრეზენტაცია შედგა.



ანსამბლ „შგარიდას“ უფროსი თაობა

ს.კ. – რას მოიცავს თქვენი ანსამბლის რეპერტუარი და საიდან სწავლობთ სიმღერებს?

გ.გ. – ჩვენს რეპერტუარში ძირითადად, რა თქმა უნდა, სვანური სიმღერა-საგალობლებია. თუმცა ვასრულებთ საქართველოს დანარჩენი კუთხეების სიმღერებსაც. მაგალითად რეპერტუარში გვაქვს სხვადასხვა „მრავალჟამიერი“, „შენ ბიჭო ანაგურელო“ და ა.შ, თუმცა, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ ყურადღებას სვანურ სიმღერებს ვუთმობთ.

ანსამბლ „შგარიდას“ რეპერტუარში ძირითადად ჩემ მიერ მოძიებული და აღდგენილი სიმღერებია. მაგალითად, ბოლო წლებში ჩვენს ანსამბლში აღვადგინეთ „კვირიას“ გადრანების გვარისეული ვარიანტი; ფერხულ „მირმიქელას“ ჩუბეხეული ვარიანტი, რომელიც ტანძიაში ჩამოსახლებული სვანებისაგან – მირონ ცინდელიანისა და შურა ვიბლიანი-საგან შევისწავლე. გარდა ამისა, ანსამბლში აღვადგინეთ სვანური მხედრულიც – დათიკო ჩხეტაიანის ჩანაწერიდან. ვლადიმერ ახოზაძის სანოტო ჩანაწერებიდან აღვადგინეთ სვანური „ჰარირა“. ამას გარდა, მამაჩემისგან და ჩემი ბიძებისგან – მუშნი და ჩიჩო გურჩიანებისაგან შევისწავლე სიმღერები: „გა“, „ცხაუ ქრისდემი“ და „ზაშინავა“...

ს.კ. – როგორია სიმღერებზე მუშაობის პროცესი?

გ.გ. – სიმღერებს ძირითადად მე ვამუშავებ. როგორც მოგახსენეთ, ძალიან ბევრი სიმღერა სვანი მოხუცებისაგან ცალ-ცალ ხმაში მაქვს ჩაწერილი. ამ ჩანაწერებს ჯერ მე ვამუშავებ, ხოლო შემდეგ მიმაქვს ანსამბლში. სიმღერაზე მუშაობის პროცესში ანსამბლის ყველა წევრი მონაწილეობს. შემოქმედებით პროცესში ხშირად ახალგაზრდებიც გამოთქვამენ საკუთარ აზრს, რაც მე ძალიან მახარებს. ხანდახან შემოქმედებითი პროცესი კამათშიც გადაიზრდება ხოლმე და ასე, საბოლოო სახეს იღებს სიმღერა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ არა მარტო ვამუშავებთ ამ სიმღერებს, არამედ ვახდენთ მათ რესტავრაციას. მაგალითად, ამგვარად აღვადგინეთ „რაიდიოს“ ლენჯერული ვარიანტი ვლადიმერ ახოზაძის სანოტო ჩანაწერებიდან.

ს.კ. – ვინ არიან ანსამბლის წევრები და რას საქმიანობენ?

გ.გ. – ანსამბლის ყველა წევრი სვანია, მომღერლები და მოცეკვავეები. სპეციალური მუსიკალური განათლება არც ერთს არ აქვს, დასაქმებულები არიან სხვადასხვა სპეციალობით. მოცეკვავეები ძირითადად ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები არიან. ისინი, უფროსებთან ერთად ფერხულში დგომითა და სვანურ სამუსიკო ტრადიციებთან თანაზიარობით, თანდათან სიმღერებსაც ითვისებენ. ანსამბლში ქორეოგრაფის ფუნქციას ერეკლე ფილფანი ითავსებს.

სამწუხაროდ, ანსამბლის რამდენიმე წევრი გარდაიცვალა, ზოგი სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად, ზოგიც სტუდენტია. ამიტომ, ანსამბლში ნაკადი პერიოდულად იცვლება, თუმცა რჩება ძირითადი ბირთვი.

ამჟამად „შგარიდას“ წევრები არიან: ლუდა ანსიანი, ვასილ ფარჯიანი, ანზორ გადრანი, მიხეილ ცინდელიანი, ვალერი ვიბლიანი, ჯოყოლა ჯაჭვილიანი, მინდია გურჩიანი, ერეკლე ფილფანი, ვახტანგ გირგვლიანი, სპარტაკ ანსიანი, ილო ფილფანი, გიორგი ფილფანი, გი-

ორგი ჩარკვიანი, ილო ჩარკვიანი, გიგა ანსიანი, ბაკურ ჯაჭვლიანი, ლუკა ვიბლიანი.

ს.კ. – რამდენად აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას ეწევა ანსამბლი?

გ.გ. – ჩვენი ანსამბლი დმანისის მუნიციპალიტეტში ჩატარებული ღონისძიებების აქტიური მონაწილეა. როგორც მოგახსენეთ, ანსამბლის პრეზენტაცია 2003 წელს გაიმართა, დმანისში. მას შემდეგ „შგარიდა“ აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას ეწევა. აღსანიშნავია ორი სოლო კონცერტი თბილისში (2004 და 2010 წელს).



ანსამბლ „შგარიდას“ ორი თაობა

2005 წელს ჩვენი ანსამბლის 6-კაციანი ჯგუფი ვიყავით სამარყანდში, საერთაშორისო ფესტივალზე – „აზიური ხმები“, სადაც ლაურეატები გავხდით. ვართ, ასევე, 2005-2006 და 2015-2016 წლების საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალების ლაურეატებიც. 2007 წელს ქობულეთში ჩატარდა ხალხური ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი-კონკურსი, სადაც მეორე ადგილი ავიღეთ. გარდა საშემსრულებლო მოღვაწეობისა, მე და ჩემი ანსამბლის წევრები უძველესი სვანური ტრადიციების კვლევაზეც ვმუშაობთ. 2014 წელს თბილისში პროექტის – „ტრადიცია ეროვნული საგანძურის“ – ფარგლებში ქართული ფოლკლორის სპეციალისტთა და მკვლევართა წინაშე წავიკითხე ლექცია სვანური ფოლკლორის მნიშვნელოვანი სფეროს – სარიტუალო

სიმღერების შესახებ, რომლის შემდეგაც გაიმართა ჩემ მიერ აღდგენილი სვანური ჭიდაობის პრეზენტაცია.

2019 წელს პროექტ „მომღერალი საქართველოს“ ფარგლებში ანსამბლმა „შგარიდა“ ლექცია-კონცერტი ჩაატარა ხელოვნების სასახლის ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმში. ანსამბლს გამოცემული აქვს ერთი აუდიოალბომი. ჩვენს მოღვაწეობაზე გადაღებულია ორი დოკუმენტური ფილმი.

ს.კ. – წარმატებებს გისურვებთ!

ინტერვიუ ჩაიწერა *სოფიკო კოტრიკაძემ*

ერთი ხალხური საკრავი

საკრავი საზი და მასზე შემსრულებელი ერთადერთი აშუღი ქალი საქართველოში

საზი ერთ-ერთი უძველესი აღმოსავლური სიმებიანი ხალხური საკრავია მსხლის ფორმის ღრმა კორპუსით, გრძელი ყელით, ფარდებით (ლადებით) და 3-4 წყვილი ან გასამმაგებული სიმებით. სიმების წყობა ჩვეულებრივ კვარტა-კვინტურია. გავრცელებულია კავკასიაში, განსაკუთრებით, აზერბაიჯანში, სომხეთში, ირანში, ავღანეთში, თურქეთში და სხვა აღმოსავლურ ქვეყნებში. საზი წამყვანი საკრავია აღმოსავლურ ხალხურ საკრავთა ანსამბლში, თუმცა ხშირად სოლოდაც იყენებენ. მასზე შემსრულებლები იყვნენ აშუღები – სახალხო მომღერლები, პოეტი-იმპროვიზატორები, რომლებიც გამოდიოდნენ ბაზრების მოედნებზე, სახალხო შეკრებებზე და საზის თანხლებით საგმირო, ისტორიულ და სატრფიალო სიმღერებს ასრულებდნენ.

საზის წინამორბედად ითვლება შირვანული ტანბური, ასევე – სპარსული სეტარი და დუთარი. აზერბაიჯანელი ხელოვნებათმ-

ცოდნეების აზრით, თანამედროვე სახე საზმა XVI საუკუნეში მიიღო.



თინათინ (ნარგილე) მეჭთიევა

საზის წინამორბედად ითვლება შირვანული ტანბური, ასევე – სპარსული სეტარი და დუთარი. აზერბაიჯანელი ხელოვნებათმცოდნეების აზრით, თანამედროვე სახე საზმა XVI საუკუნეში მიიღო.

თურქეთში საზს უწოდებენ ორ მსგავს ინსტრუმენტს: 1) „ბაღლამა“ს (bağlama, baglama) 7 სიმიან (ორი წყვილი+სამი სიმი) დიდ საზს, 2) „ჯურა“-ს (cura) – 6 სიმიან (სამი წყვილი სიმი) მომცრო საზს.

აზერბაიჯანში საზის ყველაზე გავრცელებულ სახეობას წარმოადგენს „თავარ საზი“ ან „ანა საზი“, რომელიც რვა ან ცხრა სიმიანია. ნაკლებად გავრცელებულია ოდნავ უფრო კომპაქტური „ოპთა“ ან „გოლთუგ“ (6–7 სიმიანი) და მომცრო ზომის „ჯურა“ (4–6 სიმიანი).

საზზე უკრავენ პლექტრის მეშვეობით, რომელიც ალუბლის ხის ქერქისაგან მზადდება. ეს საკრავი დღესაც აქტუალურია აზერბაიჯანელი აშულებების შემოქმედებაში.

საქართველოში საზი XVIII ს–დან, სხვა აღმოსავლურ საკრავებთან ერთად გავრცელდა. განსაკუთრებით პოპულარული იყო თბილისში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს შორის. მასზე უკრავდნენ საქართველოს მეფის კარზე მოღვაწე აშული პოეტებიც. როგორც ჩანს, ეს

საკრავი დღემდე სიცოცხლისუნარიანია არამარტო აზერბაიჯანში, არამედ საქართველოშიც. ამის დასტურია 2016 წელს, საქართველოს ფოლკლორის ეროვნულ ფესტივალზე აზერბაიჯანული წარმომობის ახალგაზრდა ქალის, **თინათინ (ნარგილე) მეჭთიევას** უნიკალური შესრულება საზზე, რისთვისაც მას პირველი ადგილი მიანიჭეს. ეს არის ერთადერთი აშული ქალი საქართველოში, რომელიც თავად მოგვითხრობს ამ საკრავთან დაკავშირებულ საკუთარ ისტორიას.

„დავიბადე და გავიზარდე მცხეთის რაიონის სოფელ ქსანში. საზი ბავშვობიდან მიზიდავდა, მას შემდეგ, რაც 12 წლის ასაკში მშობლებმა პატარა საზი მიყიდეს და გავიგე, რომ ეს საკრავი ძალიან ძველი იყო – როგორც ამბობდნენ, მუჰამედის დროიდან არსებობდა. საზზე ძველად, ძირითადად, აშული მამაკაცები უკრავდნენ, რომლებიც სოფელ-სოფელ დადიოდნენ და საგმირო და სატრფიალო სიმღერებს ასრულებდნენ. ისიც გავიგე, რომ აშული რეპერტუარი ძალიან რთული ყოფილა და სურვილთან ერთად, ნიჭიერებაც სჭირდებოდა. სკოლის დამთავრების შემდეგ, 4 წლით ბაქოში წავედი, იქაურ კონსერვატორიაში შევისწავლე საზზე დაკვრა და აშული გავხდი. ამჟამად აზერბაიჯანში უკვე მრავლად არიან აშული ქალები, თუმცა, საქართველოში მხოლოდ მე გახლავართ. მე საქართველოში ვცხოვრობ და მიხარია, რომ საკრავი, რომელიც ჩემი მშობლიური კულტურის ნაწილია, შემიძლია ქართველებსაც შევაყვარო.

საქართველოს სახელით თითქმის მთელი ევროპა მაქვს შემოვლილი. მონაწილეობა მაქვს მიღებული აშულურ ფესტივალებში თურქეთის სხვადასხვა ქალაქში, ასევე, ევროპის ბევრ ქვეყანაში: ბრიტანეთში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, შვეიცარიაში, ნორვეგიაში, დანიაში... ყველგან დიდი ინტერესით და ოვაციებით მხვდებიან. გარდა იმისა, რომ ტრადიციულ ნომრებს ვასრულებ, ვარ ექსპერიმენტული კომპოზიციების მონაწილეც. მაგა-

ლითად, ვცადე შეხება ჯაზთან, პოპთან და ძალიან საინტერესო გამოვიდა. ამასთან, გადავწყვიტე, აშუღური ჰავეების (ჰანგების) სინთეზირება და ამანაც ძალიან დიდი წარმატება მომიტანა არა მარტო საქართველოსა და აზერბაიჯანში, არამედ – ევროპაშიც.



თინათინ (ნარგილე) მეჭითევა მოსწავლეებთან ერთად

განსაკუთრებით მიხარია, რომ საზოგადოებრივ შესრულებით ახალგაზრდების ყურადღებაც მოვიპოვე. ამჟამად ვარ მირზა ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმის პედაგოგი, სადაც 15 მოსწავლე მყავს. ცალკე მყავს ბავშვთა ანსამბლი „მეიდანიც“.

ვარ საქართველოს ქალთა კავშირის წევრი, რომელთან ერთადაც ვმართავ კონცერტებს, გამოფენებს, ვმონაწილეობ კონკურსებში... ბედნიერი ვარ, რომ მაქვს საშუალება, ახალგაზრდა თაობას გავუღვიძო სიყვარული ფოლკლორისადმი, რომელიც არასოდეს კვდება...

მინდა ჩემს გეგმებზეც გითხრათ რამდენიმე სიტყვა: როგორც ცნობილია, ადრე აშუღები ჰყვებოდნენ დასთანს (ჰეროიკული, სატრფიალო და რომანტიკული პოემის ზოგადი სახელი აღმოსავლეთის ფოლკლორსა და ლიტერატურაში) და ამას 3-4 დღეს ანდომებდნენ. ეს აქამდე არც ერთ ქალს არ გაუკეთებია და გადავწყვიტე, ამ რთული საქმისთვის მომეკიდა ხელი. ვაპირებ, მოვყვე დასთანს, ოღონდ არა 3-4 დღეში, არამედ 2 საათში.

პანდემიამ მეც, ისევე, როგორც ყველას, ხელი შემიშალა ბევრი გეგმის განხორციელებაში, თუმცა ამ პერიოდში, გადავწყვიტე ონლაინ მემუშავა – სოლო კონცერტიც კი ჩავატარე. თავისუფალი დროით ვისარგებლე და არაერთი პროექტიც დავწერე. ვცდილობ, ნაკლებად ვიფიქრო პანდემიაზე და იმედით ვუყურებ მომავალს“.

ესაუბრა მაკა ხარძიანი

ერთი ტრადიციული რიტუალის შესახებ

ლომისობა

ლომისობის დღესასწაული აღმოსავლეთ საქართველოს მთის ტრადიციული დღესასწაულია. ჩვენ ხელთ არსებული ყველაზე ძველი ეთნოგრაფიული მასალა ლომისობის შესახებ ეკუთვნის სერგი მაკალათიას. იგი წერს: „მთიულეთის უდიდესი ხატი ლომისის წმ. გიორგია, რომლის ხატობაზე თავს იყრიან ქსნისა და არაგვის ხეობის თემები და, აგრეთვე, აღმოსავლეთ საქართველოს შორეული კუთხის მცხოვრებნიც“. ლომისობის დღესასწაული სულთმოფენობის მომდევნო ოთხშაბათს, მცხეთის ჯვრის ერთ-ერთ დღესასწაულზე აღინიშნება.

ლომისას წმ. გიორგის ხატი ლომისას მალე ქედზე მდებარეობს. ეს ქედი ქსნისა და არაგვის წყალგამყოფია. ვახუშტის გადმოცემით, ამ ქედზე აღმართული იყო ლომისის წმ. გიორგის ეკლესია, რის გამოც მთასაც ლომისა ეწოდა. იგი VIII–IX საუკუნეებში უნდა იყოს აგებული. ლეგენდის მიხედვით, შემოსეულ მაჰმადიანებს 700 ქართველთან ერთად, ნადავლის სახით, მთიულეთის მთავარი ხატი – გზოვანის წმინდა გიორგი წაულიათ. ხატს მაჰმადიანთა ქვეყნისათვის გვალვა და სიკვდილიანობა მოუტანია. სულთანს ხატი ანთებულ საკირეში ჩაუდგია, მაგრამ ოდნავ შეტრუსუ-

ლი ხატი, საკირედან ამოფრენილა და იქვე გაჩენილი თეთრი ხარის რქაზე დაბრძანებულა. ხატიც და ხარიც ადგილიდან მხოლოდ მაშინ დაძრულან, როცა სულთანს ყველა ქართველი ტყვე გაუთავისუფლებია, ანუ, როცა ხატს სრულიად დაუბრუნებია საკუთარი საყმო. საქართველოსკენ მომავალ ხატს სადაც კი შეუსვენია, ხალხს იქ ნიშები აუგია. „ხარი ლომისას წვერზე ასულა და გამსკდარა. ხატიც აქ დაფრენილა. ამ წვერიდან არაგვამდე ხალხი გაბმულა და ლომისას ამ ტაძრის აგებას შესდგომია. თვით სახელს „ლომისა“ თქმულემა ამავე ხარის სახელს უკავშირებს, რომელსაც სახელად ლომა რქმევია“.



ლომისას წმინდა გიორგის ეკლესია

ლომისას ხატი ბურღულების საგვარეულო ხატიცაა და ამ გვარის დეკანოზები ლომისაში პირველობენ. დღესასწაულზე დეკანოზი ხატს შვილიერებას, ნაყოფიერებას, მტერზე გამარჯვებას შესთხოვდა, რის შემდეგ იკვლებოდა საკლავი და იწირებოდა შესაწირი.

დეკანოზები ხატში სნეულებსაც მკურნალობდნენ. პირქვე დაწოლილ ავადმყოფს ისინი ლომისას ხატს წელზე, თავზე და ბეჭებზე დაადებდნენ, ანუ ჯვარს გადასახავდნენ და შემდეგ გადააბიჯებდნენ; ხატისაგან დამიწებულეები ეკლესიას ბამბის ან შალის ძაფს ახვევდნენ გარშემო, ფეხშიშველები ან ქალამნებამოცმულეები უვლიდნენ გარს, სამკაულებს იხსნიდნენ და ტოვებდნენ; უშვილო ქალები შვილიერებას შესთხოვდნენ და აკვნებს სწირა-

ვდნენ. ლომისის წყალობით შეძენილ შვილებს პირველად აქ სჭრიდნენ თმას.

ლომისას „კარზე“ ცოცხლად უშვებდნენ ანუ მას სწირავდნენ მტრელებს და მამლებს. ის, ვინც ხატობაზე ვერ მიდიოდა, პურის ან ხორბლის მარცვალს ხატში წამსვლელს შესაწირის სახით ატანდა, ლომისას მტრელებს დაუყარო.

ლომისაში დღემდე ინახება საყოველთაოდ ცნობილი ლომისას ჯაჭვი. ვინ და რატომ მიიტანა იქ ეს ჯაჭვი დანამდვილებით არ არის ცნობილი, თუმცა ამ სიწმინდეზე მრავალი გადმოცემა არსებობს. მათგან ერთ-ერთი ლომისას „ფერხისას“ (ლომისობაზე შესასრულებელი ფერხულის) ტექსტშია მოთხრობილი: „ლომისას ჯაჭვი ჰკიდა, / არავინ იცის, ვისია, / შაჰხედა ქალმა, შასტირა, / ეგ ჯაჭვი ჩემი ძმისია, / ლაშქრიდან გამოტანილი / შავგვრემანის ყმისია. / ოქრო დაადნო, შაწურა, / ლომისას საკადრისია, / დაეხსენ, ჯანგმა შასქამოს, / ალბათ მაგისი ღირსია“.

მთელ აღმოსავლეთ საქართველოში მიაჩნდათ, რომ თუკი ვინმეს სურს, რაიმე შესთხოვოს ლომისას წმ. გიორგის ან აღთქმა უკვე დადებული აქვს, ამ ჯაჭვს კისერზე იდებს და ეკლესიას ლოცვით სამჯერ გარს უვლის. ლომისას წმ. გიორგის ჯაჭვი თურმე განსაკუთრებით დასაოჯახებელ ახალგაზრდებს სწყალობს.

ლომისას ეკლესია ზღვის დონიდან საკმაოდ მაღლა, 2190 მეტრზე მდებარეობს. ერთხელ, ახალ წელს, როცა სოფელ მლეთის მოსახლეობა დეკანოზებთან ერთად, ტრადიციულად, ხატებით, ჯვრებით და ფერხისას სიმღერით სალოცავში ასულა, უკან დაბრუნებისას, ზვავს ჩაუტანია და ყველა დაღუპულა. ამის შემდეგ, 1876 წელს სოფელ მლეთაშიც ააშენეს წმინდა გიორგის ეკლესია, რომელიც მთავარი სალოცავის ნიშია.

ნინო ღამბაშიძე
ეთნოლოგი

ლომისური

♩ = 80

ლო - მი სხს ჯა - ჭვი ჰკი - დი - ა

ლო - მი სხს ჯა -

ლო - მი სხს ჯა -

ჰვი - ა ჰვი ლო - მი - სხს ჯა - ჭვი ჰკი - დი - ა ჰე

ჰვი - ა ჰვი ლო - მი - სხს ჯა - ჭვი ჰკი - დი - ა ჰე

ჰვი - ა ჰვი ლო - მი - სხს ჯა - ჭვი ჰკი - დი - ა ჰე

ღამწეები

ნე - ტა ვინ ი - ცის ვი - სი - ა

ნეტა ვინ იცის ვისია
 მოვიდა ქალამ შესტირა
 ეს ჯაჭვი ჩემი მძისია

რედაქტორი:

მაკა ხარბიანი

*ეთნომუსიკოლოგი, მუსიკოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ტმკსც-ის სპეციალისტი*

მთარგმნელი:

მაია კაჭკაჭიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

მაკა ხარბიანი

ლევან ვეშაპიძე

© ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის
ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2020

eISSN–1512 – 228X

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. თბილისი, 0108,

გრიბოედოვის ქ. #8/10

ტელ. (+995 32) 2998953

E-mail: polyphony@conservatoire.edu.ge

www.polyphony.ge

www.symposium.polyphony.ge

ბიულეტენის შემდეგი ნომერი გამოვა 2021 წლის ივნისში